ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

akhalitaoba.ge

პარასკევი, 26 ნოემბერი, 2021 | №224 (8753) | ფასი: 60 თეთრი


გვ.5

ნინო ლომჯარია: „პარლამენტს მოვუწოდებ, შეაჩეროს მოსამართლეების არჩევის პროცესი“

## მთავარი არხი 112.000 ლარით დააჯარიმეს

რა წერია კომუნიკაციების კომისიის დასკვნაში



გვ.5

# „სააკაშვილმა „ოცნების“ წინააღმდეგ პოლიტიკური ნალმი შექმნა“


გვ.2

ზვიად ძიძიგური: „გახარიას პოპულარობა ივანიშვილისთვის გამაღიზიანებელი იყო... დღეს ყველა გადაწყვეტილებას ივანიშვილი იღებს“





„ოპოზიციას ბევრჯერ შეეძლო ბოლო 2 წელში პროცესის მომგებიანად დასრულება, მაგრამ ბევრი შეცდომა დაუშვა და ამის გამო ინარჩუნებს ძალაუფლებას „ოცნება“

## „სააკაშვილი უსამართლოდ იდევნება და ამაზე ხმა ყველამ უნდა ამოიღოს“

თამარ ჩხეიძე: „კრემლი ცდილობს თავისი გავლენის გაფართოებას საქართველოში“


გვ.3

## „რეჟიმი უნდა დასრულდეს, მაგრამ არა ახალი რეჟიმით, არამედ კოალიციური მმართველობით“


გვ.4

ლაშა ჩხარტიშვილი: „რომელ „მარადმწვანე“ კოვიდპასპორტზე საუბრობენ, როცა რეინფიცირების მაჩვენებელიც მაღალია“


გვ.2

## პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის ხელმძღვანელობით ინვესტორთა საბჭოს სხდომა გაიმართა

## „ოცნებას“ ჩვევად ექცა არჩევნების დროს ადამიანების სიკვდილი“


გვ.3

დიმიტრი ბიძინაშვილი: „ჩვენ არ გვიბრძოლია იმისთვის, რომ რუსეთს დავუთმოთ ეს ქვეყანა“

## საქართველოს შს მინისტრი თურქეთის რესპუბლიკის ელჩს შეხვდა


გვ.5

ISSN 1987-9385

4 შალვა პაპუაშვილი: „სააკაშვილს მალე ბევრი პოლიტიკოსი გაემიჯნება“

4 ილია დარჩიაშვილი: „საქართველო მსოფლიოს დემოკრატიების საუკეთესო ხუთეულშია“

4 ოთარ ანგურიძე: „პრემიერის ინიციატივები წინგადადგმული ნაბიჯებია“

6 ანგელა მერკელი: „უკრაინაზე თავდასხმის შემთხვევაში რუსეთი მკაცრად დაისჯება“

# „სააკაშვილმა „ოცნების“ წინააღმდეგ პოლიტიკური ნაღმი შექმნა“

## ზვიად ძიძიგური: „გახარიას პოპულარობა ივანიშვილისთვის გამაღიზიანებელი იყო... დღეს ყველა გადაწყვეტილებას ივანიშვილი იღებს“

იაგო ნაცვლიშვილი

რატომ თვლის, რომ ხელისუფლებისთვის სააკაშვილი თავის ტკივილია ციხეშიც და მის გარეთაც და როგორ უნდა მოიქცეს ამ ვითარებაში „ოცნება“? რა შეცდომებს უშვებს ოპოზიცია და რის ხარჯზე ინარჩუნებს ძალაუფლებას „ოცნება“? – ამ და სხვა საკითხებზე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში „კონსერვატიული პარტიის“ ლიდერი **ზვიად ძიძიგური** საუბრობს.

***– სააკაშვილი გადაიყვანეს სამოქალაქო კლინიკაში, მაგრამ პოლიტიკური კრიზისი მაინც არ განმუხტულა. თქვენ როგორ უყურებთ ამ პროცესს და თუ ხედავთ განმუხტვის მექანიზმებს?***

– პირველ რიგში, რაც მინდა გითხრათ, არის ის, რომ მიუხედავად იმისა, 9 წელია ის ხელისუფლებაში არ არის, მაინც ინარჩუნებს საკმაოდ სერიოზულ გავლენას ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაზე. ვის მოსწონს და ვის არა, ეს სხვა საკითხია, მაგრამ ამას ადასტურებს ყველა არჩევნების შედეგები, რაც კი ჩატარებულა 2012 წლის შემდეგ. ასეთი პოლიტიკური გავლენის მქონე ლიდერის საპატიმროში ყოფნა არც ერთი ხელისუფლებისთვის არ იქნებოდა კომფორტული ვითარება და დღევანდელი მმართველი ძალისთვისაც არ არის კომფორტული მდგომარეობა. ეს არის პოლიტიკური ნაღმი, რომელიც სააკაშვილმა თავისი საქართველოში ჩამოსვლითა და შემდეგ ციხეში ჩაჯდომით შექმნა. ეს ვითარება ლოგიკურია, ამიტომ თუ ვინმეს ჰგონია, რომ სააკაშვილის ციხეში ყოფნით რაიმე ტიპის სტაბილურობა ან სიმშვიდე იქნება, მე ამას არ ვეთანხმები.

რაც შეეხება იმას, რა უნდა გააკეთოს ხელისუფლებამ, მან ისეთ დონეზე მიიყვანა პოლარიზაცია ქვეყანაში, ისეა დაპირისპირებული და ორ ბანაკად გაყოფილი საზოგადოება, რომ კარგი გამოსავალი არ აქვს ხელისუფლებას. სააკაშვილის ციხიდან გამოშვება ცალსახად ნიშნავს მარცხის აღიარებას და ხელისუფლების დათმობას, ხოლო ციხეში ყოფნა მუდმივი დაძაბულობა და მუდმივი დისკომფორტია.

***– თუ გამოუშვებენ, დაძაბულობა მოიხსნება?***

– არავითარ შემთხვევაში. ასეთ ვითარებაში დაიწყება სხვა ტიპის მოძრაობა. ნაციონალების მხარდამჭერები დასცემენ ყიჟინას, რომ გავიმარჯვეთო, ხოლო „ოცნების“ მხარდამჭერები მინორულ ნოტაში გადავლენ. ეს პოლიტიკური პროცესის გააქტიურებას გამოიწვევს, რომელიც ცალსახად წამგებიანი იქნება „ოცნებისთვის“, ამიტომ ისინი ამას არ გააკეთებენ. შეიძლება განვიხილოთ ვერსია, რომ როდესაც მიწყნარდება ცოტა ვითარება, შესაძლოა „ოცნებას“ თავის არსენალში ჰქონდეს, რომ სააკაშვილი, რომელიც უკრაინის მოქალაქეა, საერთაშორისო მონაწილეების ჩართულობით გადაეცეს უკრაინას. შესაძლოა, ამაზე დაიწყოს ფიქრი და მსჯელობა. თუმცა, ბევრი რამეა დამოკიდებული ქვეყანაში არსებულ პოლიტიკურ ვითარებაზე.

***– ალბათ, ეს ყველაზე მეტად აწყობს ამ სიტუაციაში „ოცნებას“. ასეა?***

– ვერ გეტყვით, მაგრამ ერთ-ერთი ვერსიაა. ესეც ხელისუფლების წაგებად ჩაითვლება, თუმცა არა იმ დოზით, რა დოზითაც ამას მისი ციხიდან გამოშვება გამოიწვევს.

***– იაგო ხვიჩიას ვერსიაა, რომ შესაძლოა „ოცნებამ“ იმ პირობით გაათავისუფლოს სააკაშვილი თუ პოლიტიკიდან წავა. სააკაშვილი ამ ნაბიჯზე წავა?***



– სააკაშვილი პოლიტიკიდან როგორ წავა, როდესაც პოლიტიკით ცხოვრობს. 9 წელი დევნილობაშია, სასჯელი აქვს მისჯილი და საქართველოში დაბრუნდა მაშინ, როდესაც იცოდა, რომ დააპატიმრებდნენ. მაგრამ მაინც ჩამოვიდა, რათა პოლიტიკურ პროცესებში უფრო აქტიურად ყოფილიყო ჩართული. თუ გაათავისუფლებენ, მით უმეტეს, არ წავა პოლიტიკიდან. პირიქით, გაათმაგებული ენერგიით იქნება ჩართული იმ პროცესებში, რომელიც არ მოსწონს არც დღევანდელ ხელისუფლებას და, სხვათა შორის, არც ბევრ მოქალაქეს, რომელიც საქართველოშია. ჩვენ ნანახი გვაქვს სააკაშვილის ცხრაწლიანი მმართველობა და ის, როგორი იყო მისი რეჟიმი. ეს ბევრისთვის მიუღებელია და სწორედ ამაზე დგას დღეს ხელისუფლება, თორემ ხელისუფლებას თავისი რეიტინგი ძალიან შეუმცირდა, მაგრამ იმ ნეგატივზე დგანან, რაც სააკაშვილმა თავისი მმართველობის წლებში დააგროვა.

***– სააკაშვილი აწყობს ხელისუფლებას?***

– რა თქმა უნდა. მე არ ვარ ორიგინალური თუ ამ თემაზე ვილაპარაკებ. „მიშა მოდის“ იყო 2016 წლის არჩევნებიც, 2018 წლისაც და 2018-ის მეორე ტურიც, ასევე იყო 2020 წლის და 2021 წლის არჩევნებიც ისევ სააკაშვილის თემაზე ჰქონდა აგებული. მას სხვა გეგმაც არ ჰქონია და არც სურვილი, რომ პოლიტიკური მრავალფეროვნება ჰქონოდა. არ უსაუბრია პროგრამაზე და პირდაპირ ამბობდა, რომ მიშა მოვა და ისევ ძველი ვითარება იქნება. გაააქტიურეს ძველი კადრები, რომ ხალხს ნეგატივის მეტი გრძნობა გაღვივებოდა.

***– როცა საუბრობთ, რაზეც დგას „ოცნება“, მაშინ იმ გუნდში თქვენც იყავით და არ გაგჩენიათ თქვენც და სხვა პოლიტიკოსებსაც პროტესტი და არ გითქვამთ, რომ დროა დავამთავროთ „მიშა მოდის“ ძახილი და ახალ რელსებზე გადავიდეთო?***

– ვერ გეტყვით. 2012 და 2016 წლების პარლამენტში უფრო სერიოზული გეგმები იყო, ბევრი ნაბიჯიც გადაიდგა და რეფორმებიც გატარდა. მაშინდელი „ოცნების“ თემა მარტო სააკაშვილი არ იყო და სხვა ბევრი საინტერესო რეფორმა გატარდა.

საარჩევნო კამპანიის დროსაც, იგივე 2016-ში, მარტო „მიშა მოდის“ არ ყოფილა. თუმცა, ეს იყო ერთ-ერთი პასაჟი, რომელიც მან აქტიურად გამოიყენა. მაგრამ საინტერესო პროგრამები იყო. კვირიკაშვილს ჰქონდა გეგმა, რაც ეკონომიკის ფეხზე სწრაფად დაყენებას გულისხმობდა. ამ მიმართულებით იყო საარჩევნო კამპანიაც აწყობილი. თუ გადახედავთ მაშინდელ პროგრამას, ეს საკმაოდ სოლიდური პროგრამა იყო.

***– შეცდომა იყო კვირიკაშვილის გაშვება?***

– მე გეტყვით, რომ კვირიკაშვილის გაშვება გამოიწვია იმან, რომ ივანიშვილმა პოლიტიკაში დაბრუნება გადაწყვიტა. ისევ თავისი გემოვნების მიხედვით აიწყო პოლიტიკური ცხოვრება. ამიტომ, მან მიიღო ასეთი გადაწყვეტილება, რომ კვირიკაშვილი გაეშვა პრემიერმინისტრობიდან. ასეთი გადაწყვეტილებები მისგან არ ყოფილა გასაკვირი, ერთ მშვენიერ დღეს გადაწყვიტა, რომ ღარიბაშვილი გაეშვა პრემიერობიდან, შემდეგ კვირიკაშვილის გაშვება გადაწყვიტა. გახარიამ დაასწრო და თვითონ მიიღო წასვლის გადაწყვეტილება და ვფიქრობ, სწორადაც მოიქცა. დიდი ხანი გახარიას მაინც არ ჰქონდა, ვინაიდან მას დაუგროვდა რეიტინგი და პოპულარული ფიგურა იყო „ქართულ ოცნებაში“, რაც იყო საკმაოდ გამაღიზიანებელი ბიძინა ივანიშვილისთვის. ახლა, როდესაც ვუყურებ პროცესებს, ეს ნამდვილად ასეა. რასაც დგამს „ოცნება“ დღესაც, ჩათვალეთ, რომ ეს ბიძინა ივანიშვილია. გადაწყვეტილების მიმღები არ არის, რასაკვირველია, რაღაც დონეზე გადაწყვეტილებებს ღარიბაშვილიც იღებს და კობახიძეც, მაგრამ ძირითადად ეს ხდება ივანიშვილის გემოვნების და ნარატივების შესაბამისად.

***– მიშას თემას რომ დავუბრუნდეთ, შთაბეჭდილება ხომ არ გრჩებათ, რომ ის მოტყუებულად გრძნობს თავს. ვგულისხმობ მისი ოჯახის წევრების უკმაყოფილებას, რომ ოპოზიცია მისი გათავისუფლების თემაზე საკმარისად აქტიური არაა. თუნდაც მისი ვაჟის განცხადებას, რომ მისი სიკვდილი ოპოზიციის ნაწილსაც უნდა. რა მინიშნებებს გიჩენთ ეს?***

– როგორ გრძნობს მიშა სააკაშვილი თავს, ეს თავად მას უნდა ჰკითხოთ. შემიძლია ის გითხრათ, რომ ოპოზიციამ ბევრი შეცდომა დაუშვა ბოლო 2 წლის განმავლობაში. მას ბევრჯერ შეეძლო პოლიტიკური სიტუაცია თავისთვის მომგებიანად დაესრულებინა და ყოველთვის წამგებიანად დაასრულა. დაწყებული იმით, რომ პარლამენტის 60 მანდატზე უარი თქვა და პარლამენტში არ შევიდა მთელი 7 თვე. ამით ოპოზიციამ დაკარგა დასავლეთის სერიოზული მხარდაჭერა. დასავლეთმა ნახა, რომ ოპოზიციას მარგინალური მიდრეკილებები აქვს, რაც მათთვის გაუგებარია და მათაც ფრთხილად დაიწყეს ქვეყნის შიდა პოლიტიკურ საკითხებში ჩარევა. უფრო ფრთხილები არიან, ვიდრე თუნდაც მაშინ, როდესაც ჩავარდა საკონსტიტუციო ცვლილება.

შემდეგ მიშელის ჩამოსვლამ და დოკუმენტზე მუშაობამ და ბოლოს ამ დოკუმენტის გაუბედურებამ გამოიწვია სერიოზული განხიბვლა დასავლელი პარტნიორების, იმიტომ, რომ მათ იფიქრეს, პოზიციაც და ოპოზიციაც არ იღებს იმ თამაშის წესებს, რაც დასავლურ პოლიტიკურ პროცესშია. ამით დიდი ბერკეტი დაკარგა ოპოზიციამ, ხოლო ხელისუფლება მოგებული დარჩა. როცა ოპოზიციას გამოეცლება ისეთი სერიოზული საერთაშორისო საყრდენი, როგორიც მანამდე ჰქონდა, ეს ხელისუფლებისთვის მომგებიანია.

დღესაც ოპოზიცია ამბობს, რომ საპროტესტო აქციებს მოვაწყობთ და ა. შ. რამდენჯერ უნდა მოაწყო, რომ დარწმუნდე, რომ ხალხი შენ დაძახებაზე არ გამოდის. ან რატომ უნდა გამოვიდეს?! ხალხისთვის რა არის საინტერესო, რასაც ოპოზიცია ლაპარაკობს?! ძირითადად ამბობენ, რომ „ოცნება“ წავიდეს და ჩვენ მოვალთ, რადგან უკვე კარგები გავხდითო. ხალხი, როდესაც ქუჩაში გამოდიოდა და ხელისუფლებას უპირისპირდებოდა, ყოველთვის არსებობდა სერიოზული მოტივაცია. გამსახურდიას პერიოდში ეს იყო ეროვნული დამოუკიდებლობის იდეა კომუნისტების წინააღმდეგ. სააკაშვილს როცა უჭერდა ხალხი მხარს, მას სერიოზული პროგრამები ჰქონდა – გაყინული პენსიის მიმართულებით დგამდა ნაბიჯებს და პენსიონერებს ჰქონდათ განცდა, რომ სააკაშვილი მათიანი იყო და მიეხმარებოდა. მეანაბრეებს ანაბრების დაბრუნებას ჰპირდებოდა და მთელი რიგი პროგრამები ჰქონდა. თბილისის საკრებულოს თავმჯდომარეობის დროსაც მან თბილისის საკრებულოს დონეზე პენსიები მოუმატა ხალხს. ანუ, ჰქონდა ხალხს იმედი, რომ ეს კაცი მოვა და ჩვენი მდგომარეობა გაუმჯობესდებაო.

მარტო აქციები იარაღი არ არის. არსენალში სხვა მექანიზმებიც უნდა იყოს. პარლამენტს ძალიან არაეფექტურად იყენებს ოპოზიცია. საკრებულოებში ბევრ ადგილას უმრავლესობაც კი აქვთ, მაგრამ იქიდანაც არაფერი ისმის ხალხისთვის საინტერესო. მუდმივი კინკლაობაა. თუ ოპოზიცია არ დაჯდება, იფიქრებს და ჭკვიანურ გეგმას არ ჩამოაყალიბებს ხალხის მხარდასაჭერად, ისე არაფერი გავა. ხალხი კი მიდის არჩევნებზე და ბიულეტენებს აგდებს „ოცნების“ საწინააღმდეგოდ, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ დაუძახებ და ისინი რუსთაველზე გავლენ და ხელისუფლებას ჩამოგაგდებინებენ. არ არის ასეთი ვითარება. არ აქვს ხალხს განცდა, რომ ხელისუფლების შეცვლის შემდეგ მათი მდგომარეობა გაუმჯობესდება. არ არის არც ლიდერი და არც პოლიტიკური ძალა, რომელიც ხალხს ქუჩაში გაიყვანს.

„ოცნება“ ერთადერთ რამეზე დგას, არ არის არც პოლიტიკური კონფიგურაცია და არც ძალა, რომელსაც შეუძლია მისი ინტერესების დაცვა, ამიტომ ფრთხილად იქცევიან მოქალაქეები გადაწყვეტილებების მიღებისას.

***– სუსტი ოპოზიციის ხარჯზე ინარჩუნებს „ოცნება“ ძალაუფლებას?***

– რა თქმა უნდა. ოპოზიცია ძალიან არათანმიმდევრული და არაეფექტურია. რომელი ფენაა, რომელიც ოპოზიციას უჭერს მხარს? ის არა, ვინც „ოცნებაზე“ გაბრაზებულია ან სააკაშვილის მხარდამჭერია. პოლიტიკურ გემოვნებაზე არ ვსაუბრობ. პენსიონერი უჭერს, მასწავლებელი, პოლიციელი, ჯარისკაცი თუ ვინ?! რომელი ფენისთვის გადადგა საინტერესო ნაბიჯი? – არც ერთი. ამიტომაც არაფერია გასაკვირი, რა ვითარებაც არის. ცუდად მიდის საქმე და ამას სიხარულით არ ვამბობ. როცა ოპოზიცია ძლიერია, მაშინ კონკურენციაც ჯანსაღია და ეს ქვეყნის ეკონომიკასაც და მოქალაქეებსაც პოზიტიურად ეხება. დღეს კი საიმედო არაფერი გვაქვს. ხელისუფლებისაც და ოპოზიციის გეგმაც უვარგისია, მაგრამ ხელისუფლების გეგმა იმაზეა გათვლილი, რომ რადაც არ უნდა დაუჯდეს, შეინარჩუნოს ძალაუფლება. მისი გეგმა უვარგისია, მაგრამ ადვილად განსახორციელებელი, რადგან არ ვარგა პოლიტიკური ოპონენტების გეგმაც, რომლითაც უნდა მოხდეს ცვლილებები.

# იოსებ არჩვაძე: „სათამაშო ბიზნესიდან ეკონომიკური სარგებელი სოციალურ დანახარჯებთან შედარებით მცირეა“



ეკონომიკის ექსპერტი იოსებ არჩვაძე პრემიერ-მინისტრის ირაკლი ღარიბაშვილის მიერ სათამაშო ბიზნესის რეგულირების შესახებ გაჟღერებულ ინიციატივას ეხმაურება.

„შრომის წახალისება, დამატებითი სამუშაო ადგილების შექმნა, ეკონომიკური აქტიურობის გაძლიერება, ეს იქნება იმის პარალელური ქმედება, რამაც მოსახლეობის და განსაკუთრებით ახალგაზრდების ნაწილში ყურადღების გადატანა უნდა მოახდინოს თამაშზე დამოკიდებულებისაგან ეკონომიკურად აქტიურ საქმიანობაში ჩართვისაკენ. ცნობილია, რომ თამაშისადმი მიდრეკილება აქვს შედარებით დაბალშემოსავლიან ადამიანებს, რომელთაც სურთ, რომ ფინანსური პრობლემები გადაჭრან. ჩვენ თუ უფრო რაციონალურად, საღად აზროვნებას მივაჩვევთ და სწორ მიმართულებას მივცემთ ახალგაზრდებს, მაშინ მათ მიერ ცხოვრებისეული აზრის ფორმირება უფრო რაციონალურ ფორმას მიიღებს და იქნება შესაძლებლობა, რომ მათგან საზოგადოებამაც მეტი სარგებელი ნახოს და თვითონაც უფრო რეალიზებული აღმოჩნდნენ თავიანთ ცხოვრებაში“ – აღნიშნა იოსებ არჩვაძემ.

# პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის ხელმძღვანელობით ინვესტორთა საბჭოს სხდომა გაიმართა

საქართველოში არსებული საინვესტიციო გარემო, კოვიდ-19-ის პანდემიის გავლენა ეკონომიკაზე, ვაქცინაციის პროცესი და პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვის კუთხით გადასადგმელი ნაბიჯები განიხილეს ინვესტორთა საბჭოს მორიგ სხდომაზე, რომელიც პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის ხელმძღვანელობით, 25 ნოემბერს მთავრობის ადმინისტრაციაში გაიმართა.



საბჭოს სხდომაზე, რომელიც მთავრობის მეთაურმა გახსნა, მისასალმებელი სიტყვით გამოვიდნენ გაერთიანებული სამეფოს ელჩი საქართველოში მარკ კლეიტონი და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) რეგიონული დირექტორი კავკასიაში კატარინა ბიორლინ ჰანსენი.

ინვესტორთა საბჭოს საქმიანობისა და წინა სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილებების აღსრულების შესახებ ისაუბრა ინვესტორთა საბჭოს მდივანმა გიორგი ჩერქეზიშვილმა.

საბჭოს სხდომაზე ასევე განიხილეს განახლებადი ენერგიის მიმართულებით პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვა, სოფლის მეურნეობის სექტორში ინვესტირების პერსპექტივები, ფინანსებზე ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით ახალი ფინანსური ინსტრუმენტების შექმნა, სამშენებლო სექტორის წინაშე არსებული გამოწვევები, სახელმწიფო საწარმოების რეფორმა, ასევე, ფარმაცევტულ ინდუსტრიასთან დაკავშირებული საკითხები.

– საბჭოს სხდომა მოიცავდა ეკონომიკის თითქმის ყველა მიმართულებას და საინვესტიციო მდგომარეობას სხვადასხვა დარგში. საკითხები შეეხებოდა როგორც ენერგეტიკის სფეროს, ისე ფარმაცევტულ სექტორს, სახელმწიფო საწარმოების რეფორმებს და ფინანსური ინსტრუმენტების გაძლიერებას. დაისახა სამოქმედო გეგმები და უახლოეს დღეებში სამუშაო ჯგუფების ფორმატში გაგრძელდება მუშაობა, – განაცხადა ინვესტორთა საბჭოს მდივანმა გიორგი ჩერქეზიშვილმა.

ინვესტორთა საბჭოს სხდომა ნაყოფიერად შეაფასა ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) რეგიონულმა დირექტორმა კავკასიაში კატარინა ბიორლინ ჰანსენმა.

– ინვესტორთა საბჭოს სხდომაზე ჩვენ გვქონდა ძალიან ნაყოფიერი დისკუსია. განვიხილეთ კოვიდ-19-ის გავლენა ქვეყანაში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ნაკადზე, ასევე ადგილობრივი და უცხოური ინვესტიციები განახლებადი ენერგიის სექტორში, რომელიც წარმოადგენს ძალიან პერსპექტიულ მიმართულებას განვითარებისთვის. ასევე, განვიხილეთ უზრუნველყოფილი ფასიანი ქაღალდების – ობლიგაციების თემა. ეს არის ახალი კანონმდებლობა, რომელიც ძალიან მალე იქნება მიღებული და ხელს შეუწყობს საქართველოში ფინანსური აქტივების შემოტანის გააქტიურებას. განვიხილეთ სხვა საკითხებიც, რომლებზეც ჩვენ, საქართველოს მთავრობასთან ერთად, მომავალშიც გავაგრძელებთ მუშაობას. გვქონდა ძალიან პროდუქტიული შეხვედრა და კარგი დისკუსია, – აღნიშნა კატარინა ბიორლინ ჰანსენმა.

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

**მთავარი რედაქტორი** – სოსო გოგინაშვილი
**რედაქტორი** – ლალი ასლანიშვილი
**საფინანსო სამსახური** – კლარა ბალავაძე
**სარეკლამო სამსახური** – 599-532-690
**დირექტორი** – ზურაბ ბერიძე
**გავრცელების სამსახური** – მერაბ ლევერაშვილი

ვებგვერდი: **akhalitaoba.ge** ელ.ფოსტა: axtaoba@gmail.com
ტელეფონი: 599-532-690

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „ოცნებას“ ჩვევად ექცა არჩევნების დროს ადამიანების სიკვდილი“

## დიმიტრი ბიძინაშვილი: „ჩვენ არ გვიბრძოლია იმისთვის, რომ რუსეთს დავუთმოთ ეს ქვეყანა“

ნონა ცაბაძე

**„ახალი თაობის“ კითხვებს დიმიტრი ბიძინაშვილი პასუხობს.**

***– დიმიტრი, როგორ აფასებთ ბოლო პერიოდის პროცესებს? გვესმის შეფასებები, რომ სერიოზული პოლიტიკური კრიზისი უდგას ხელისუფლებასაც და ქვეყანასაც. თუმცა თბილისის მერის განცხადება მოვისმინეთ, ქვეყანას არანაირი კრიზისი არ აქვს, კრიზისი ნაციონალურ მოძრაობას აქვს, უნდა შეეგუონ იმას, რომ სააკაშვილი იჯდება ციხეშიო. რას იტყვით ამ ყველაფერზე?***

– კალაძემ ამ განცხადებისას ალბათ იგულისხმა ხელისუფლების წევრები და მათ შეძენილ და მოხვეჭილ ქონებას თუ გადავხედავთ, ნამდვილად კარგად უდგათ საქმე. რაც შეეხება პოლიტიკურ კრიზისს, რანაირად შეიძლება პოლიტიკური კრიზისი არ აღიარო, როდესაც ჩვენ ვხედავთ გაყალბებული არჩევნების ფონზე, მაინც წაგებულ რეგიონებში, როგორ მიმდინარეობს ზეწოლა ადამიანებზე. ჩვევად ექცათ არჩევნების დროს ადამიანების სიკვდილი. როგორ შეწირეს წინა არჩევნებზე ზუგდიდში ია კერძაია და ახლა ბათუმში ნაციონალური მოძრაობის წევრი. აი ეს არის „ოცნების“ მმართველობა. კრიზისი რომ არ ჰქონდეთ, ამას არ იზამდნენ, რასაც ახლა სჩადიან. „ქართულ ოცნებას“ არაფერი არ აინტერესებს, გარდა იმისა, რომ ძალაუფლება შეინარჩუნოს და სწორედ ამას ვხედავთ ახლა.

***– რას იტყვი მიხეილ სააკაშვილზე, ის სამართლიან სასამართლოს ითხოვს, მისი პარტიის წევრები კი მოითხოვენ მისთვის სასჯელის გადავადებას, ან თუნდაც შინაპატიმრობას, თუმცა ხელისუფლება მას კვლავ პატიმრობაში ტოვებს. რა ბერკეტები არსებობს, რას აპირებთ? პროტესტიც ნელ-ნელა მინელდა და შეჩერდა.***

– არა, ვერ დაგეთანხმებით, პროტესტი არ არის შეჩერებული, გუშინ ბათუმში გაიმართა საპროტესტო აქცია და ასეთივე მუხტია მთელ საქართველოში. ხალხის გამოყვანის და რუსთაველის გავსების პრობლემა რომ ამ ქვეყანაში არ არის, ჩვენ ეს დავინახეთ. რაც შეეხება მიხეილ სააკაშვილს, ბევრს საუბრობენ მისი ქვეყნიდან გასვლა-არგასვლაზე და ეს პირადად მისი გადასაწყვეტია. ის იყო მშვიდად უკრაინაში და არც თავისუფლების პრობლემა ჰქონდა და არც ჯანმრთელობის. ის არ ჩამოსულა აქ სამკურნალოდ და ციხეში ჩასაჯდომად. მას აქვს თავისი გეგმები საქართველოსთან დაკავშირებით.

***– რა გეგმები, რა უნდა? აცხადებს, რომ არ მინდა თანამდებობაო.***

– დიახ, თავის განცხადებაში მან კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ ამ ქვეყანაში მას არანაირი თანამდებობა არ სჭირდება.

***– მაშინ რას გეგმავს, რა უნდა? რას აპირებს?***

– ის აპირებს ქართველ ხალხთან ერთად ბრძოლას და შეცვლას იმ რეჟიმის, რომელი რეჟიმიც ჩვენს ქვეყანაშია. ჩვენ არ გვიბრძოლია იმისთვის, რომ რუსეთს დავუთმოთ ეს ქვეყანა. ყველა კარგად ხედავს, როგორ ძლიერდება რუსული რეჟიმი ქვეყანაში. რაც შეეხება მიხეილ სააკაშვილის გამარჯვებას, დიახ, დიდი გამარჯვება იყო ის, რომ იგი გადაყვანილია ჰოსპიტალში, მაგრამ არა საბოლოო გამარჯვება, როდესაც ის უნდა წარდგეს სასამართლოს წინაშე, მას უნდა ჰქონდეს სამართლიანი სასამართლოს უფლება და იქ უნდა დაუმტკიცოს ბიძინა ივანიშვილს თავისი უდანაშაულობა. იმიტომ, რომ ამ ბრალს, რაც მას აქვს წარდგენილი, არ აღიარებს არავინ, გარდა კრემლისა. ისე გადაადგილდებოდა ევროპასა თუ ამერიკაში, მასთან პრეტენზია არავის არ ჰქონია. რაც იმას ნიშნავს, რომ ის ბრალი, რაც მას აქვს წარდგენილი, სასაცილოდაც არ ყოფნით იმ ადამიანებს, ვისაც სააკაშვილი დასავლეთში ხვდებოდა. რუსეთში კი ვნახეთ, რაც ხდებოდა, როგორი აჟიტირებულები იყვნენ და როგორ აშუქებდა მედია ამ ყველაფერს. ერთი სამოქმედო არეალი და ერთი ხედვა აქვთ რუსულ და ქართულ ხელისუფლებას. ამიტომ ძალიან მნიშვნელოვანია „ქართული ოცნება“ ვაიძულოთ, მიხეილ სააკაშვილი მიიყვანონ სასამართლო სხდომებზე.



***– ჩვენი პირველი გამარჯვება მისი ჰოსპიტალში გადაყვანააო, აცხადებთ, მაშინ როცა, ვისმენთ ხელისუფლებისგან, რომ გორის ჰოსპიტალში გადაყვანას სააკაშვილს ოქტომბრის შუა რიცხვებიდან ვთავაზობდითო. მაშინ როგორაა ეს თქვენი გამარჯვება? გვახსოვს გვარამიას განცხადებებიც ოს სეპარატისტებზე.***

– არაფერსაც არ სთავაზობდა „ქართული ოცნება“. არ უნდა დაგვავიწყდეს სტრასბურიდან მოსული მეორე წერილი, რომელიც მიუთითებდა ამაზე და წერილი ზუსტად იმ დღეს მოვიდა, რომელ დღესაც მიხეილ სააკაშვილი გადაიყვანეს ჰოსპიტალში. სტრასბურიდან მოსულ წერილში პირდაპირ იყო ნათქვამი, რომ დაუყოვნებლივ უნდა გადაეყვანათ ის ჰოსპიტალში. „ქართული ოცნების“ განცხადებები, რომ ეს გადაწყვეტილება თავად მიიღეს, არის კიდევ ერთი დიდი ტყუილი. გადაამოწმეთ სტრასბურიდან მოსული წერილის თარიღი და ამაში დარწმუნდებით.

***– სასამართლოში როგორ უნდა მოხერხდეს მისი მიყვანა, ამასთან დაკავშირებით რა გეგმები გაქვთ?***

– ჩვენი საერთაშორისო პარტნიორების განცხადებებში პირდაპირ არის ნათქვამი, რომ მას უნდა ჰქონდეს სასამართლოთი სარგებლობის უფლება. რაც ნიშნავს იმას, რომ იგი უნდა წარდგეს სასამართლოს წინაშე და დაიცვას საკუთარი თავი. რაც იმას ნიშნავს, რომ „ქართულ ოცნებას“ მოუწევს მისი მიყვანა სასამართლოში. მისი მიყვანა იქ იმიტომ არ უნდათ, რომ საზოგადოებასთან კომუნიკაცია აქვს მას აკრძალული. ანუ მას არანაირი კომუნიკაციის საშუალებას არ აძლევს ხელისუფლება. თუკი მას სასამართლოში მიიყვანენ, ეს იქნება ერთადერთი ტრიბუნა, რომელსაც ის გამოიყენებს ხალხთან კომუნიკაციისთვის. სწორედ ამიტომ ცდილობენ, თავი აარიდონ მის მიყვანას სასამართლო პროცესზე.

***– მიშას ალაპარაკების ბევრს ეშინიაო, ვის და რატომ უნდა ეშინოდეს?***

– რა თქმა უნდა, ეშინიათ! ბიძინა ივანიშვილს ეშინია პირველ რიგში. მიხეილ სააკაშვილის ხალხთან კომუნიკაცია პროტესტის კიდევ უფრო დიდ მუხტს გააჩენს ქვეყანაში. მას ჰყავს ძალიან ბევრი მომხრე, რომლებსაც სურთ, რომ სააკაშვილს მიეცეს საშუალება პოლიტიკურ პროცესებში ჩართვის. აი ამის ეშინია „ოცნებას“. ბიძინა ივანიშვილი ყველაფერს აკეთებს, რომ სააკაშვილის დამალვით, ეს მუხტი რამენაირად ჩაახშოს.

***– ისევ უკრაინაში გაშვებას უპირებენო. ასეა?***

– მე ამ ინფორმაციას არ ვფლობ და არა მგონია, სააკაშვილის სურვილის გარეშე რამე მოხდეს. მას რომ უკრაინაში ყოფნა ნდომებოდა, არც ჩამოვიდოდა და არც ჯანმრთელობას შეირყევდა. ნამდვილად არ ჩამოსულა იმისთვის, რომ კვლავ უკრაინაში დაბრუნდეს, თანაც შერყეული ჯანმრთელობით.

***– რას შეცვლის, რა უნდა გააკეთოს მიშამ საქართველოში? თავადვე ამბობს, არ მინდა არანაირი თანამდებობაო, აბა რა უნდა?***

– მას სურს, რომ დაამარცხოს ეს რუსული რეჟიმი, რომელიც არის ქვეყანაში და რომელმა რეჟიმმაც ვარდების რევოლუციის მონაპოვარი ფეხქვეშ გათელა. ეს ხელისუფლება თუ არ გავუშვით, ისე ვერანაირი ცვლილებები ვერ მოხდება. ადამიანებს არ ექნებათ ნათელი მომავლის იმედი.

# „სააკაშვილი უსამართლოდ იდევნება და ამაზე ხმა ყველამ უნდა ამოიღოს“

## თამარ ჩხეიძე: „კრემლი ცდილობს თავისი გავლენის გაფართოებას საქართველოში“

მარიამ მჭედლიშვილი

**შესაძლებელია თუ არა პოლარიზაციის შეწყვეტა? რა მთავარი ამოცანები დგას ოპოზიციის წინაშე? რის გარშემო უნდა გაერთიანდეს ოპოზიცია? — ამ და სხვა საკითხებზე „ახალი თაობა“ ესაუბრა ყოფილ დისიდენტსა და დეპუტატს, თამარ ჩხეიძეს.**

***– ევროპელმა პარტნიორებმა ქართველ პოლიტიკოსებს პოლარიზაციის დამთავრება და დღის წესრიგის შეცვლა ურჩიეს. ეს შესაძლებელია?***

– თუ ხელისუფლებამ არ მოინდომა, ვერანაირი პოლარიზაცია ვერ შეწყდება. პოლარიზაცია ხელისუფლების არაადეკვატურობის ბრალია. „ქართული ოცნების“ ხელისუფლება ემსახურება არა სახელმწიფოს, არამედ, დამპყრობლის ინტერესებს. მარტო ოპოზიცია ვითარებას ვერ შეცვლის. ხელისუფლების თითქმის ყველა მოქმედება მოკლებულია ადეკვატურობას და ამოვარდნილია ქცევის ელემენტარული წესებიდან.

***– მიხეილ სააკაშვილის ჰოსპიტალიზაციის შემდეგ შეწყდა შიმშილობის აქციები და მისი სამოქალაქო კლინიკაში გადაყვანის მოთხოვნები. ახლა რა უნდა იყოს ოპოზიციის მთავარი მოთხოვნები?***

– რასაკვირველია, სააკაშვილის გათავისუფლება და დემოკრატიული არჩევნების თემა. უნდა დადგეს ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების გამართვის საკითხი. ოპოზიციამ დიდი ძალისხმევა უნდა გამოიყენოს იმისთვის, რომ ახალ არჩევნებს სათანადო მზადყოფნის მდგომარეობაში შეხვდეს. საჭიროა დიდი მუშაობა და მომზადება, თორემ, ძალისხმევის გარეშე შეიძლება მივიღოთ მსგავსი შედეგი, რაც წინა არჩევნებზე.

***– საჭიროა თუ არა კანონმდებლობაში ცვლილებების ბოლომდე მიყვანა? პროპორციულ ვადამდელ არჩევნებს დაბალი ბარიერით ესაჭიროება საკონსტიტუციო შესწორებების დაბოლოება.***



– რასაკვირველია, ესეც აუცილებელია. მაჟორიტარულმა არჩევნებმა საქართველოში დამახინჯებული სახე მიიღო. მმართველი პარტია მაჟორიტარულ წესით ახერხებს უფრო მეტად გააყალბოს არჩევნები და მიიღოს დაუმსახურებელი მანდატები. საერთოდ, მაჟორიტარული არჩევნები ნორმალურია და გამოიყენება სხვადასხვა ქვეყანაში. საქართველოში მიუღებელია მაჟორიტარული არჩევნები, ანუ შერეული სისტემა.

***– ყოველთვის ამახვილებდით ყურადღებას ხმების დაცვის აუცილებლობაზე. ეს მომავალშიც ამოცანაა ოპოზიციისთვის?***

– ხმების დაცვა ერთ-ერთი უპირველესი ამოცანაა. არჩევნების გაყალბება, მოგეხსენებათ, მარტო არჩევნების დღეს არ ხდება. ტერორი, მოსყიდვა, დაშინება, წინასაარჩევნო პერიოდში მიმდინარეობს. მმართველი პარტია გაყალბებისათვის მთელ რესურსებს იყენებს. სქემა კომპიუტერიზებულია. გაყალბების უამრავი მეთოდი შესწავლილია. ალბათ, დამატებითი მაქინაციებიც არსებობს. ამ ყველაფერს ყურადღების მიქცევა უნდა. დასამუშავებელია ამომრჩეველთა სიები. წლებია, ამაზეა ლაპარაკი, მაგრამ ეს ისევ პრობლემად რჩება. სიები უნდა გასწორდეს და გადამოწმდეს. ოპოზიციამ უნდა დაახშოს გაყალბების ყველა ხაზი. ეს ადვილი არ არის. ეს რთულია, მაგრამ აუცილებლად გასაკეთებელი. სააკაშვილის საკითხთან ერთად, არჩევნების თემა უნდა იყოს მთავარი, მათ შორის, საერთაშირისო არენაზე. სააკაშვილის თაობაზე მოთხოვნებში მხოლოდ არასამართლიანი სასამართლო არ უნდა იდგეს დღის წესრიგში.

***– კიდევ რა უნდა დადგეს დღის წესრიგში?***

– მის მიმართ წამოყენებული ბრალდებების აბსურდულობა. ამაზე საუბარი მიდის, მაგრამ საჭიროა მეტი აქტიურობა. საქართველოში არ არსებობს სამართლიანი სასამართლო. ამასთან ერთად, სააკაშვილს ბრალად სდებენ ისეთ რამეს, როგორიცაა ბავშვთა სახლისათვის სათამაშოების ყიდვა, საპატიო სტუმრისათვის გაწეული ხარჯები, ასევე შეწყალება. გასაგებია, რომ საქმე ეხება გირგვლიანის მკვლელებს, მაგრამ პრეზიდენტმა გამოიყენა შეწყალების უფლება და ეს დანაშაული არ არის. ასე რომ, აბსურდულ ბრალდებებზე მეტი ლაპარაკია საჭირო.

***– ოპოზიცია თავის გეგმებს მოგვიანებით წარმოადგენს. თქვენი აზრით, რის გარშემო შეიძლება გაერთიანდეს ოპოზიციის ნაწილი?***

– იმის გარშემო, რაზეც ვსაუბრობთ. ეს არის ნამდვილად დემოკრატიული და სამართლიანი არჩევნები და მიხეილ სააკაშვილის გათავისუფლება. მნიშვნელობა არა აქვს, თუ ვის რა დამოკიდებულება აქვს მესამე პრეზიდენტის მიმართ. ის უსამართლოდ იდევნება და ამაზე ხმა ყველამ უნდა ამოიღოს. შეინიშნება ასეთი ტენდენცია – ზოგიერთი პარტია არჩევნების საკითხს უპირისპირებს სააკაშვილის პრობლემას. ეს სწორი არ არის. დემოკრატიული არჩევნები და სააკაშვილის ამბავი დაკავშირებულია ერთმანეთთან. ეს ერთიანი საქმეა. სააკაშვილის გათავისუფლების მოთხოვნა შეიძლება უფრო საჩქარო იყოს. მნიშვნელობით ორივე საკითხი ერთნაირია.

***– შესაძლებელია თუ არა „ქართული ოცნება“ თვითონ მივიდეს ვადამდელი არჩევნების იდეამდე და ჩაატაროს არჩევნები შერეული სისტემით?***

– ეს დამაფიქრებელი გარემოება იქნება. თუმცა, „ოცნებას“ გამარჯვება გარანტირებული არ ექნება. ოპოზიციის მზადყოფნის აუცილებლობაზე უკვე ვილაპარაკე. საჭიროა მუხტის შენარჩუნება და ხელისუფლების წელში გადატეხა. ხელისუფლება ისეთ ნაბიჯებს დგამს, რომ წელში გადატეხილია.

***– ადგილობრივ არჩევნებში „ოცნებას“ მოგება გაუჭირდა?***

– არც მოუგია არჩევნები. რაც დაიწერა, ყალბი ციფრებია. იმაში გეთანხმებით, რომ იმ გაყალბებულის მიღწევაც გაუძნელდა. ეს მაძლევს იმედს, რომ თუ ოპოზიციამ ფალსიფიკაციის ყველა ხვრელი გადაკეტა და მოახდინა მობილიზაცია, ხელისუფლება მომავალ არჩევნებს ვერ მოიგებს.

***– რუსეთის მედია დიდ ყურადღებას უთმობს საქართველოში მიმდინარე მოვლენებს. სააკაშვილის პატიმრობაც ყურადღების ქვეშ მოექცა, შიმშილობის აქციებიც. ახლა წერენ იმაზე, რომ საქართველოს პოლიტიკურ ველზე კონსერვატიული ნიშა ცარიელი იყო და მას ავსებს ახალი „კონსერვატიული მოძრაობა“.***

– დავიწყებ იმით, რომ დასავლეთში კონსერვატიზმი სხვანაირად ესმით. ჩვენც სხვანაირად გვესმოდა 90-იანებში. თანამედროვე საქართველოში ბევრი ტერმინი აღრეულია. უშუალოდ ამ ახალ მოძრაობას რაც შეეხება, ეს არის უბრალოდ მე-5 კოლონა. მის წარმომადგენლებს ვუსმინე. ისინი სურვილს გამოთქვამენ საქართველოში რუსეთის ბაზების განთავსებაზე.

***– ოკუპირებული რეგიონების ფარგლებს გარეთ?***

– დიახ, დიახ. აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში, საუბედუროდ, არის რუსული სამხედრო ბაზები. ამათ უნდათ, რომ ბაზები აღდგეს იქ, სადაც ადრე იდგა – ახალქალაქში, ბათუმში. პრორუსული ჯგუფები და პარტიები აქამდე ნეიტრალიტეტს მოითხოვდნენ. ესენი უფრო შორს წავიდნენ. ესეც ნიშნავს, რომ კრემლი ცდილობს თავისი გავლენის გაფართოებას საქართველოში. მეხუთე კოლონის პირით მოსკოვი აცხადებს, რომ სურს საკუთარი სამხედრო ბაზები საქართველოს ტერიტორიაზე.

# „რეჟიმი უნდა დასრულდეს, მაგრამ არა ახალი რეჟიმით, არამედ კოალიციური მმართველობით“

## ლაშა ჩხარტიშვილი: „რომელ „მარადმწვანე“ კოვიდპასპორტზე საუბრობენ, როცა რეინფიცირების მაჩვენებელიც მაღალია“

ნათია ხურცილავა

**„ლეიბორისტული პარტიის“ ერთ-ერთი ლიდერი ლაშა ჩხარტიშვილი „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.**

***– ლაშა, მიხეილ სააკაშვილი ღია პოლიტიკური ინიციატივებით გამოდის. როგორ ფიქრობთ, ოპოზიციურ ველზე ეს რას მოუტანს ოპოზიციას?***

– მე მომხრე ვარ სამართლიანი სასამართლოსი როგორც სააკაშვილისთვის, ისე ივანიშვილისთვის. ამ კონკრეტულ შემთხვევაში სააკაშვილის სასამართლოს ვგულისხმობ, კარგი იქნებოდა უცხოელი მოსამართლეებით დაკომპლექტებულ სასამართლო კოლეგიას განეხილა მისი საქმე. უპირობო განთავისუფლების მომხრე არ ვარ. რადგან ვთვლი, რომ დანაშაულებებზე პასუხი უნდა აგოს ადამიანმა, რა თქმა უნდა, თუ დაუმტკიცდა. არ შეიძლება დაუსჯელობის სინდრომი ბობოქრობდეს ქვეყანაში.

ივანიშვილის მმართველობაზეც ზუსტად იგივე შემიძლია გითხრათ. ჩვენი ქვეყნის უმთავრესი პრობლემა დაუსჯელობის სინდრომია, რის გამოც ახალი და ახალი მსხვერპლი ეწირება ქვეყანას.

დღეს, თემირლან მაჩალიკაშვილის დაბადების დღეა და არ შემიძლია არ ვთქვა თუ როგორ შეეწირა ეს ახალგაზრდა ადამიანი პოლიციის მხრიდან ძალადობას. ისევე, როგორც წინა რეჟიმის დროს არაერთი ახალგაზრდა შეეწირა პოლიციის ძალადობას. ეს უნდა დასრულდეს ოდესმე და ამის პირველი ნიშანი იქნება სამართლიანი, მიუკერძოებელი სასამართლო.

***– რა უნდა იყოს ოპოზიციის გამაერთიანებელი? რა თემის ირგვლივ უნდა მოხდეს კონსოლიდირება?***

– საბოლოო ჯამში, მთავარი ამოცანა უნდა იყოს ივანიშვილის წასვლა მმართველობიდან. რეჟიმი უნდა დასრულდეს, მაგრამ არა ახლი რეჟიმით, არამედ კოალიციური მმართველობით. ამიტომ მნიშვნელოვანია უახლოეს პერიოდში მოხდეს ოპოზიციის კოორდინაცია მხოლოდ ერთი საკითხის ირგვლივ და ეს ვადამდელი არჩევნები უნდა იყოს სრულად პროპორციული, უბარიერო სისტემით.



ვადამდელი, პროპორციული არჩევნები უნდა იყოს მთავარი მოთხოვნა, რადგან უნდა დავასრულოთ ერთი მონსტრის მეორე მონსტრი პარტიით ჩანაცვლება. უნდა შევძლოთ ისეთი არჩევნების ჩატარება, რომელიც უზრუნველყოფს არა ისევ მონსტრის გამარჯვებას, არამედ დაბალანსებულ მმართველობას. ამიტომ, ახლა ძალიან მნიშვნელოვანი მგონია ერთი გამაერთიანებელი იდეა და ეს ვადამდელი არჩევნები უნდა იყოს.

ასევე, ძალიან მნიშვნელოვანი მგონია, ყველა ოპოზიციურმა პარტიამ, დეპუტატმა დატოვოს როგორც პარლამენტი, ისე ყველა ქალაქის საკრებულო. ეს ნაბიჯები უნდა გადაიდგას, რაც შეიძლება სწრაფად. ასეთ შემთხვევაში ხალხი დაიჯერებს, ირწმუნებს ოპოზიციის ძალას. წინააღმდეგ შემთხვევაში თუ ისევ გაგრძელდა საკრებულოებში, პარლამენტში ოპოზიციის არსებობა, არავინ არ დაუჯერებს ასეთ ოპოზიციას. როგორც ქართველმა საზოგადოებამ, ასევე დასავლეთმა უნდა დაინახოს, რომ ოპოზიცია მზად არის ბოლომდე იბრძოლოს.

ასევე, მრავალპარტიულობისთვის მნიშვნელოვანია სხვადასხვა პოლიტიკურმა პარტიებმა მოახერხონ დამოუკიდებლად ორგანიზებული აქციების გამართვა.

***– მომხრე ხართ თემატური აქციების, რომელიც პატარა პარტიების მიერ იქნება ორგანიზებული?***

– თემატური აქციები ძალიან მნიშვნელოვანია. ამ ქვეყანაში სააკაშვილის უფლებების გარდა, უამრავი სხვა პრობლემა არსებობს. დიახ, ჩვენ ყველამ ერთად უნდა ვიბრძოლოთ სააკაშვილის და ვინც არ უნდა იყოს, ნებისმიერი ადამიანის უფლებებისთვის, მაგრამ არსებობს ისეთი მნიშვნელოვანი პრობლემა, როგორიც კოვიდია. სოციალური პრობლემები, როდესაც ადამიანებს, უბრალოდ, თავი ვერ გააქვთ. მასობრივი შიმშილია ქვეყანაში, ბავშვებისა და მოხუცების შიმშილზე რომ არაფერი ვთქვათ. ყოველდღიურად 80 ადამიანი რომ იღუპება, ასეთი მცირერიცხოვანი ერისთვის, ეს პირდაპირ გენოციდია ერის წინაშე. ცხადია, ეს ყოველივე დიდ პროტესტს იმსახურებს, მეტიც, ეს ის თემებია, რომელიც ნებისმიერ ხელისუფლებას წალეკავს.

არ შემიძლია ახალ ინიციატივას კოვიდპასპორტთან დაკავშირებით არ გამოვეხმაურო. კოვიდპასპორტი რომ აუცილებელია, ეს ცალსახაა, მაგრამ რომელ „მარად მწვანე“ კოვიდპასპორტზე შეიძლება იყოს საუბარი, როდესაც რეინფიცირების ისეთი მაღალი მაჩვენებლები გვაქვს, როგორიც გვაქვს. ეს კოვიდპასპორტიც ფარატინა ქაღალდად გადააქციეს, რადგან, როგორც ჩანს, პანდემიის გახანგრძლივება აწყობთ. რაც უფრო რთული ეპიდვითარება იქნება ქვეყანაში, ამას პოლიტიკური მიზნებისთვის გამოიყენებს ხელისუფლება. როდესაც უნდა, ჩაკეტავს, როდესაც უნდა, გახსნის და ასე, როდესაც უნდა, დაგვტუქსავს და როცა უნდა, დაგვიყვავებს.

ამიტომ ვამბობ, თემატური ბრძოლები ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ჩვენ, როგორც ადამიანები, გადავრჩეთ.

# ილია დარჩიაშვილი: „საქართველო მსოფლიოს დემოკრატიების საუკეთესო ხუთეულშია“

საერთაშორისო კვლევითმა ცენტრმა – „დემოკრატიის ვარიაციები“, რომელსაც ეყრდნობა მსოფლიო ბანკის გლობალური მმართველობის ინდიკატორები, საქართველო დემოკრატიის გრძელვადიანი განვითარების მაჩვენებელში, მსოფლიო დემოკრატიების ხუთეულში გამოარჩია.

ამის შესახებ საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის უფროსმა ილია დარჩიაშვილმა განაცხადა.

კვლევის თანახმად, რომელსაც მსოფლიოში დემოკრატიის კვლევის წამყვანი ცენტრი, ორგანიზაცია „ დემოკრატიის ვარიაციები“ აქვეყნებს, საქართველოს განსაკუთრებულად გაუმჯობესებული აქვს შემდეგი მაჩვენებლები:

– გამოხატვის თავისუფლება;

– თავისუფლება წამებისგან.

– კვლევაში საუბარია ორ ძალიან მნიშვნელოვან მიმართულებაზე, სადაც საქართველოს კონკრეტული ხელშესახები შედეგები აქვს. ეს არის გამოხატვის თავისუფლება და თავისუფლება წამებისგან, რაც ძალიან მნიშვნელოვანია ჩვენი ქვეყნის მომავალი დემოკრატიული განვითარების გზაზე, – განაცხადა ილია დარჩიაშვილმა.

კვლევის მიხედვით, საქართველო კავკასიასა და ცენტრალურ აზიაში ერთადერთი ქვეყანაა, რომელსაც დემოკრატიული სტატუსი აქვს, კერძოდ კი, „ელექტორალური დემოკრატიის“ ქვეყნების ჯგუფს მიეკუთვნება.

# შალვა პაპუაშვილი: „სააკაშვილს მალე ბევრი პოლიტიკოსი გაემიჯნება“

„ქართული ოცნების“ წევრი შალვა პაპუაშვილი ფიქრობს, რომ სააკაშვილის თავისუფლების მოთხოვნასთან დაკავშირებით „ნაციონალურ მოძრაობაში“ აზრთა სხვადასხვაობაა და აქვს მოლოდინი, რომ ამ საკითხის გამო პარტიაში განხეთქილება მოხდება.

ამასთან, კითხვაზე, რა იქნება ხელისუფლების ნაბიჯები მას შემდეგ, რაც სააკაშვილი გამოჯანმრთელდება, პაპუაშვილის თქმით, „ის რუსთავის მე-12 სასჯელაღსრულების დაწესებულებაში გადავა და მსჯავრის მოხდას გააგრძელებს“.

– ნაციონალურ მოძრაობაში“ სხვადასხვა ფრთაა – ზოგი ვალის მოხდის მიზნით უჭერს მხარს სააკაშვილის გათავისუფლებას, მაგრამ ეს მხარდაჭერა ცალყბა ხდება ბევრი პოლიტიკოსის მხრიდან და დარწმუნებული ვარ, მალე გაემიჯნებიან. თვითონ ნაციონალური მოძრაობის შიგნითაც ამის საფუძველზე, დიდი ალბათობით, განხეთქილება მოხდება. ყველა, ვინც დღეს ამბობს – „თავისუფლება მიშას“, მიუხედავად იმისა, ქართველია, უცხოელი თუ რა სტატუსი აქვს, დასცინის სააკაშვილის დანაშაულის მსხვერპლებს და კანონის უზენაესობას.

ყველაფერი არის ძალიან მარტივად – ორი წინაპირობაა, რაზეც თუ შევთანხმდებით, ყველაფერი მოწესრიგდება: ერთი, ეს არის დემოკრატიის და ხალხის არჩევანის აღიარება; მეორე წინაპირობაა სამართლის აღიარება. ითქვა კიდევაც, რომ სადაც არ არის სამართალი, არ არის მშვიდობა, – განაცხადა შალვა პაპუაშვილმა.

# ოთარ ანგურიძე: „პრემიერის ინიციატივები წინგადადგმული ნაბიჯებია“

ექსპერტი **ოთარ ანგურიძე** პრემიერის ინიციატივებს წინ გადადგმულ ნაბიჯებად აფასებს.

„პრემიერის დღევანდელი ინიციატივა სოციალურად დაუცველი მოქალაქეების გადამზადების კუთხით, რომელიც მათ მისცემს შესაძლებლობას დაეუფლონ გარკვეულ პროფესიას, აიმაღლონ პროფესიული კვალიფიკაცია და ჰქონდეთ შესაძლებლობა დასაქმდნენ და საკუთარი შრომით გაიუმჯობესონ ცხოვრების დონე და პირობები. წარმოდგენილი ინიციატივა შეიძლება შევაფასოთ, როგორც ორმაგი ეფექტის თვალსაზრისით: ერთი, რომ მოსახლეობას ექნება შესაძლებლობა უფასოდ მიიღოს პროფესიული განათლება და დაეუფლოს პროფესიას და მეორე, როცა ხდება პროფესიული განათლების პოპულარიზაცია და მისი მნიშვნელობის ხაზგასმა ჩვენს ქვეყანაში.


ოთარ ანგურიძე

კამათგარეშეა, რომ საქართველოში ონლაინ კაზინოები არის ეკონომიკის ის სფერო, რომლებიც ეკონომიკას არა ჩვენს ქვეყანაში, არამედ სხვა, ხშირად ჩვენთვის უცხო ქვეყანაში ქმნიან. შესაბამისად, ამ სექტორის როლი ქვეყნის განვითარებაში არის მინიმალური, ხოლო გავლენა არის ცალსახად ნეგატიური, რადგან ამ სერვისით ჯერ კიდევ სარგებლობენ მცირეწლოვნები და მოსახლეობის ის ფენა, რომლებიც ითვლებიან დაბალშემოსავლიანებად. ამიტომ ნებისმიერი მთავრობის ვალდებულებაც კი არის, რომ მიიღოს ისეთი საკანონმდებლო ინიციატივა, რომელიც დაიცავს საკუთარ მოქალაქეებს. მით უფრო, როცა პრემიერმა მოიხმო სტატისტიკა, რომლითაც დგინდება, რომ 99% მოთამაშეების არის ეკონომიკურად გაჭირვებული მოსახლეობა და როცა ასეთი სოციალური ფენიდან უცხოეთში მიედინება 1,5 მლრდ ლარი, არის კატასტროფა.

ინფორმაციისათვის, ევროკავშირის ქვეყნებში აკრძალულია ონლაინ კაზინოების მსგავსი სერვისები, რომლებიც ემსახურება ევროკავშირიდან თანხების გადინებას“ – აცხადებს ანგურიძე.

ეკონომიკის ექსპერტი ირაკლი ღარიბაშვილის ფსიქოტროპული მედიკამენტების გაყიდვების გამკაცრებასთან დაკავშირებით გაჟღერებულ ინიციატივასაც გამოეხმაურა და აღნიშნა, რომ დღევანდელ ახალგაზრდებში ფსიქოტროპულ მედიკამენტებზე თავისუფალი წვდომა ერთ-ერთი მთავარი პრობლემაა:

„მედიკამენტების ბაზრის კონტროლის გამკაცრება ცოტა ხნის წინაც დააანონსა პრემიერმა და, როგორც ჩანს, დღევანდელი ინიციატივაც ამის გაგრძელებაა. ერთ-ერთი მთავარი პრობლემა დღევანდელ ახალგაზრდებში არის ფსიქოტროპულ მედიკამენტებზე თავისუფალი წვდომა, რასაც სჭირდება შესაბამისი რეაგირება, რაც უკვე გვამცნო პრემიერმა დღევანდელი სხდომიდან“ – აცხადებს ოთარ ანგურიძე.

ექსპერტ **ვახტანგ ჭარაიას** თქმით, თუ უცხოელებს უნდათ, რომ ითამაშონ და თუ ამას, როგორც ბიზნესს, ისე განიხილავენ, მაშინ საწინააღმდეგო არაფერია.

„მივესალმები ონლაინ კაზინოების მიმართ მსგავს დამოკიდებულებას იმიტომ, რომ მე თვითონაც დიდი ხანია მსგავსი პოზიცია მქონდა, რომ ონლაინ კაზინოებთან და ზოგადად კაზინოებთან მიმართებით გარკვეული ნაბიჯები იყო გადასადგმელი.

კარგია, რომ პრემიერ-მინისტრი პასუხობს იმ გამოწვევას, რომელიც ქვეყანაში გვაქვს და აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ, მიუხედავად იმისა, რომ საქართველო არის საკმაოდ ღარიბი ქვეყანა, უზარმაზარი თანხა იხარჯება ონლაინ კაზინოებზე, რომელიც ქვეყნის ფარგლებს გარეთ გადის და პლუს ქვეყნის შიგნით კაზინოებში საკმაოდ დიდ თანხას ხარჯავს ისევ და ისევ ღარიბი მოსახლეობის საკმაოდ დიდი ნაწილი.

ეს შემდგომ სოციალურად ბევრ პრობლემას ქმნის. ყველას გვყავს ალბათ საახლობლოში ისეთი ადამიანი, ვისაც აზარტული თამაშების გამო პრობლემები შეჰქმნია. სამწუხაროდ, ეს საკითხი ჩვენთან ფსიქოლოგიურადაც გადალახული არ არის.

დასავლეთში კაზინოში ან ტოტალიზატორში თამაშობენ გართობისთვის, ჩვენთან, რატომღაც გამდიდრებისთვის თამაშობენ. ჰგონიათ, რომ აუცილებლად გამდიდრდებიან თუ ითამაშებენ კაზინოში ან ტოტალიზატორში. დამოკიდებულება არის არასწორი ზოგადად ჩვენი საზოგადოების მხრიდან და, შესაბამისად, ამას ეწირება ახალგაზრდა თაობა, რომელსაც არ აქვს გათვითცნობიერებული, რომ ფიზიკურად ვერ გახდება მილიონერი კაზინოში თამაშით, მით უმეტეს, მცირე თანხით“ – განაცხადა ჭარაიამ.

ამასთან, მისივე თქმით, ქვეყნის სოციალური მდგომარეობის გათვალისწინებით, სწორია ონლაინ, ფიზიკურ კაზინოებთან და ტოტალიზატორებთან წვდომა აიკრძალოს.

შესაბამისად, თუ ფსიქოლოგიურად ვერ ხერხდება ამ საკითხის სწორად მიწოდება და გადაჭრა, მაშინ აუცილებელია საკანონმდებლო რეგულაციები, რომლებიც ობიექტთან წვდომას შეგიზღუდავს. მსგავსი კანონმდებლობა ბევრ ქვეყანაშია მიღებული და მიდგომები სხვადასხვანაირია. ზოგან, მაგალითად, ზღუდავენ ასაკს, ზოგან თანხას.


ვახტანგ ჭარაია

ასევე, არის ქვეყნები, სადაც მეუღლეების თანხმობის გარეშე ერთ-ერთ პირს კაზინოში არ უშვებენ. პირობითად, ქმარს თუ უნდა კაზინოში შესვლა, აუცილებლად მის მეუღლეს უნდა დაუკავშირდნენ ან ცნობა უნდა ჰქონდეთ მეუღლისგან, რომ ის თანახმაა გარკვეულ თანხაზე.

ონლაინ კაზინოები ჩვენი ახალგაზრდების ნორმალურ განვითარებას ხელს უშლის და ხშირად სხვა პრობლემის წინაშე აყენებს. ცალსახად მივესალმები არა მხოლოდ ონლაინ კაზინოების მიმართ გარკვეულ შეზღუდვებს, არამედ ზოგადად კაზინოების მიმართ, თუ ეს საქართველოს მოქალაქეებს ეხება.

თუ უცხოელებს უნდათ, რომ ითამაშონ და თუ ამას, როგორც ბიზნესს განვიხილავთ, კი ბატონო, ამ კუთხით წინააღმდეგი არ ვარ. ჩვენი ქვეყნის სოციალური მდგომარეობის გათვალისწინებით, ძალიან სწორია, რომ მაქსიმალურად შეიზღუდოს საქართველოს მოქალაქეების, განსაკუთრებით ახალგაზრდების წვდომა ტოტალიზატორთან, ონლაინ კაზინოსთან თუ ფიზიკურ კაზინოსთან“ – დასძინა ჭარაიამ.

# მთავარი არხი 112.000 ლარით დააჯარიმეს

## რა წერია კომუნიკაციების კომისიის დასკვნაში

კომუნიკაციების კომისიამ „მთავარი არხი“ 112.000 ლარით დააჯარიმა.

კომისიის განცხადებაში ვკითხულობთ:

„კომუნიკაციების კომისიამ „მთავარი არხი“ არაწინასაარჩევნო პერიოდში პოლიტიკური რეკლამის ეთერში კანონმდებლობის დარღვევით განთავსების გამო 112.000 ლარით დააჯარიმა. 17 და 18 ნოემბერს მაუწყებელმა ეთერში განათავსა სამი ვიდეორგოლი, რომლის განთავსების უფლებაც კანონმდებლობით არ ჰქონდა. ანალოგიური სამართალდარღვევისთვის მთავარი არხი ბოლო ერთი წლის განმავლობაში უკვე იყო დაჯარიმებული, რის გამოც ის წლიური შემოსავლის 1%-ით დაჯარიმდა. მსგავსი დარღვევისთვის „მთავარი არხი“ 2019 და 2020 წლებშიც იქნა სამართალდამრღვევად ცნობილი და დაჯარიმებული.

კომუნიკაციების კომისია მოუწოდებს ყველა მაუწყებელს, დაიცვან კანონმდებლობა და არაწინასაარჩევნო პერიოდში არ განათავსონ ეთერში პოლიტიკური რეკლამა, რადგან აღნიშნულს მოქმედი კანონმდებლობა კრძალავს. კომუნიკაციების კომისია, როგორც მაუწყებლობის სფეროში პოლიტიკის განმსაზღვრელი უწყება, ვალდებულია, ზედამხედველობა გაუწიოს კანონის აღსრულებას და სამართალდარღვევის შემთხვევაში მოახდინოს რეაგირება. კომისიას არაერთხელ აქვს საჯაროდ გაცხადებული, რომ მისი მიზანი არ არის მაუწყებლისთვის ფინანსური სანქციის დაკისრება, კომისიის მიზანია დაიცვას კანონი და მოახდინოს კანონდარღვევის პრევენცია, მათ შორის, სამართალდამრღვევთა სანქცირებით.

„მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით, მაუწყებელი, როგორც რეკლამის გამავრცელებელი, ვალდებულია უზრუნველყოს მის მიერ გადაცემული რეკლამის საქართველოს კანონმდებლობასთან შესაბამისობა და არ დაუშვას არასათანადო რეკლამის ეთერში განთავსება – მაუწყებლის მიერ პოლიტიკური რეკლამების განთავსება მოხდა არაწინასაარჩევნო პერიოდში, ანუ ისეთ დროს, როდესაც აღნიშნული აკრძალული იყო მოქმედი კანონმდებლობით.

მთავარი არხის მიერ კანონმდებლობის დარღვევით გავრცელებულ ერთ ვიდეორგოლში ნაჩვენებია პოლიტიკური გაერთიანება „ეროვნული ნაციონალური მოძრაობის“ ლიდერის, პატიმრობაში მყოფი საქართველოს მესამე პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილის ფოტო, რომელსაც აწერია#თავისუფლებამიშას, რასაც მოსდევს საქართველოს პენიტენციური სამსახურის იმ ხელმძღვანელი პირებისა და მოსამართლეების ფოტოები, რომელთაც შეხება ჰქონდათ სააკაშვილის საქმესთან მისი დაპატიმრების შემდეგ და თითოეული ფოტოს ბოლოს ისმის სიტყვა – „კლავს“, აღნიშნული სიტყვა წერილობით ისახება ეკრანზე, ვიდეორგოლის ბოლოს კი ისმის მოწოდება: „გაათავისუფლე მიხეილ სააკაშვილი“.

მეორე ვიდეორგოლში წარმოდგენილია საქართველოს პრემიერ-მინისტრის, მინისტრთა კაბინეტის, საქართველოს პრეზიდენტის, პოლიტიკური გაერთიანება „ქართული ოცნების“ ლიდერების, დეპუტატის, თბილისის მერის მიერ სააკაშვილის პატიმრობასა და შიმშილობასთან დაკავშირებით გაკეთებული განცხადებებიდან ამონარიდები და თითოეული განცხადების ბოლოს




ისმის ხმა – „კლავს“, ვიდეორგოლის ბოლოს ისმის მოწოდება „უთხარი მკვლელებს არა“, „№თავისუფლებამიშას“.

მაუწყებლის ეთერში, ასევე განთავსებულია ვიდეორგოლი, სადაც „ქართული ოცნების“ პარტიის წევრების ფოტოები პარტიის სიმბოლიკისა და „ქართული ოცნების“ წინასაარჩევნო კამპანიის მუსიკის ფონზე არის წარმოდგენილი ეკრანზე, ხოლო კლიპის დასასრულს, როდესაც ისმის სიმღერა „ჩემი საქართველო აქ არის“, მათი ფოტოები რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის ვლადიმერ პუტინის სახის კონტურში ერთიანდება და ეწერება „სირცხვილია“.




# ნინო ლომჯარია: „პარლამენტს მოვუწოდებ, შეაჩეროს მოსამართლეების არჩევის პროცესი“

სახალხო დამცველი პარლამენტს მოუწოდებს, შეაჩეროს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების არჩევის პროცესი.

განცხადებაში აღნიშნულია, რომ აუცილებელია დაიწყოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ძირეულ რეფორმაზე მუშაობა, რაც გადამწყვეტია ქვეყანაში მართლმსაჯულების სისტემის ჯანსაღი ფუნქციონირებისა და სამართლიანი სასამართლოს უფლების უზრუნველყოფისათვის.

„სამწუხაროდ, წლიდან წლამდე მცირდება იმ განმცხადებლების რაოდენობა, რომლებიც გამოთქვამენ ინტერესს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის ვაკანტური პოზიციის დასაკავებლად, რაც შერჩევის პროცედურის მიმართ უნდობლობას აჩვენებს. 9 ვაკანტურ თანამდებობაზე გამოცხადებულ კონკურსში განცხადება მხოლოდ 51-მა კანდიდატმა წარადგინა, საიდანაც 17-მა თავისი კანდიდატურა მოხსნა, 3 კანდიდატი კი საბჭოს გადაწყვეტილებით გამოეთიშა კონკურსს. 1 ვაკანტურ თანამდებობაზე გამოცხადებულ კონკურსში რეგისტრირებული ჯამში 18 კანდიდატიდან იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ მხოლოდ 5 მათგანის შეფასება შეძლო, ვინაიდან დანარჩენებმა საკუთარი კანდიდატურები მოხსნეს. ასევე აღსანიშნავია, რომ ორივე კონკურსის ჯამში დამატებითი განცხადება მხოლოდ 3-მა კანდიდატმა წარადგინა, რაც ხაზს უსვამს აღნიშნული მექანიზმის არაეფექტიანობასა და ხარვეზულობას.

განსაკუთრებულად გვსურს ხაზი გავუსვათ იმას, რომ მეორე კონკურსში კანდიდატებთან გასაუბრებასა და მათ შეფასებაში მონაწილეობდა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მხოლოდ 10 წევრი – 9 მოსამართლე წევრი და პრეზიდენტის მიერ დანიშნული 1 წევრი, ვინაიდან ამ დროისათვის პარლამენტის მიერ არჩეულ 5-ვე არამოსამართლე წევრს უფლებამოსილების ვადა ამოწურული ჰქონდა, ხოლო მათ ნაცვლად ახალი წევრები პარლამენტს ამ დრომდე არ აურჩევია“ – წერია სახალხო დამცველის განცხადებაში.

ომბუდსმენის შეფასებით, პარლამენტის მიერ მოსამართლეთა უვადოდ განმწესებამ დიდი დარტყმა მიაყენა მართლმსაჯულების სისტემას საქართველოში.

„გადამწყვეტი მნიშვნელობისაა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ფუნდამენტური რეფორმირება, მანამდე კი, უზენაეს სასამართლოში ახალი მოსამართლეების არჩევა მხოლოდ მოსამართლეთა გავლენიანი ჯგუფის გაძლიერებისაკენ მიმართული ნაბიჯია. აღსანიშნავია, რომ ეუთო/ოდირის მიერ საქართველოში უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების შერჩევის საკითხზე გამოცემულ მეოთხე ანგარიშშიც, სადაც აღწერილია მონიტორინგის საფუძველზე გამოვლენილი სერიოზული პრობლემები, პირველივე უმთავრეს რეკომენდაციად სწორედ უზენაეს სასამართლოში დარჩენილ ვაკანტურ ადგილებზე კანდიდატების შერჩევის პროცესის დაუყოვნებლივ შეწყვეტაა მითითებული, ფუნდამენტური სასამართლო რეფორმების განხორციელებამდე“ – წერს ომბუდსმენი.

25 ნოემბერს იურიდიულ საკითხთა კომიტეტზე უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატებს, გენადი მაკარიძესა და თამარ ოქროპირიძეს მოუსმინეს. პროცესს ოპოზიციის ნაწილი ბოიკოტის ნიშნად არ დაესწრო.

გასაუბრებას, მიწვევის მიუხედავად, არ დაესწრო არც ევროკავშირის ელჩი საქართველოში კარლ ჰარცელი.



# რუსეთში ქართველი ბიზნესმენი ალექსანდრე ებრალიძე დააკავეს

სანკტ-პეტერბურგში „საქართველოს ხალხთა მსოფლიო კონგრესის“ დამფუძნებელი, ბიზნესმენი ალექსანდრე ებრალიძე დააკავეს.

რუსული სააგენტო „რია ნოვოსტის“ ინფორმაციით, მისი დაკავება უკავშირდება გაფლანგვის საქმეს.

ადგილობრივი მედია იუწყება, რომ მის წინააღმდეგ საქმე აღიძრა 2016 წელს „კონსტანს ბანკიდან“ დაახლოებით სამი მილიარდი რუბლის დაკარგვის გამო, რომლის მფლობელი ებრალიძე იყო.

შემოწმების შემდეგ მას ლიცენზია ჩამოერთვა.

ებრალიძე, ასევე ცნობილია, როგორც კომპანია „თალიონის“ დამფუძნებელი. 2009 წელს კი საქართველოს ხალხთა კონფერენციაზე, სოჭში განაცხადა, რომ საქართველოს პრეზიდენტობაზე იყრიდა კენჭს.

# კიევში ირაკლი მალანიას დაჭრისთვის გიორგი არუთინოვია დაკავებული




კიევის ცენტრში 10 ტყვიით დაჭრილი ირაკლი მალანია ამ დრომდე რეანიმაციულ განყოფილებაში მძიმე მდგომარეობაში რჩება.

16 ნოემბერს ირაკლი მალანია ერთ-ერთი საქმის პროცესზე უნდა გამოცხადებულიყო, როდესაც შენობასთან მისულს სასამართლოს ეზოში 10 ტყვია ესროლეს.

„კურიერმა“ დანაშაულის მოტივი და სავარაუდო ბრალდებულების ვინაობა გაარკვია. დაკავებულია ე.წ. ფეიქრიშვილების დაჯგუფების ერთი წევრი გიორგი არუთინოვი, კიდევ ორზე კი ძებნაა გამოცხადებული. საქართველოს მოქალაქეები – 37 წლის გიორგი არუთინოვი, 36 წლის ლაშა სიხარულიძე და 32 წლის ნოდარ ნიშნიანიძე განზრახვის სისრულეში მოსაყვანად კიევში რამდენიმე დღის წინ საგანგებოდ ჩავიდნენ.

საქმეში ფიგურირებს ნოდარ ნიშნიანიძე, რომელიც არაერთი გახმაურებული კრიმინალური გარჩევის მონაწილეა. ამჯერად საქმე გვაქვს ორ კლანს შორის წლების განმავლობაში მიმდინარე შეიარაღებულ დაპირისპირებასთან, რომელმაც უკვე შეიწირა რამდენიმე ადამიანი. კიევში მომხდარი ფაქტიც შურისძიებას უკავშირდება.

სამივე მათგანს უახლოესი მეგობრობა აკავშირებს ძმებ გიორგი და დავით ფეიქრიშვილებთან, რომლებსაც თბილისში ტყუპების მეტსახელით იცნობენ, თავდასხმის სამიზნე ირაკლი მალანია კი 2016 წელს თბილისში მოკლული სოსო ჯოხაძის მეგობარია.

სოსო ჯოხაძის მკვლელობის ბრალდებით სასჯელს იხდის „ფეიქრიშვილების დაჯგუფების“ კიდევ ერთი წევრი ბადუკა ნათობაძე. ამავე პერიოდში იარაღის უკანონო შეძენა-შენახვის ბრალდებით ერთმანეთის მიყოლებით დააპატიმრეს ფეიქრიშვილების გარემოცვის წევრები, მათ შორის, ირაკლი მალანიაზე თავდასხმაში მხილებული ნოდარ ნიშნიანიძე.

# სააკაშვილი 29 ნოემბერს საკუთარ სასამართლო პროცესს დაესწრება



საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის ადვოკატის, ბექა ბასილაიას განცხადებით, თუკი სააკაშვილს ჯანმრთელობის მდგომარეობა შესაძლებლობას მისცემს, ის საკუთარ სასამართლო პროცესს, რომელიც 29 ნოემბერსაა დანიშნული, დაესწრება.

როგორც ბასილაიამ „ინტერპრესნიუსს“ განუცხადა, მიხეილ სააკაშვილი პოლიტიკური შურისძიების მსხვერპლია.

– ივანიშვილისგან მართულმა სასამართლომ ყველაფერი გააკეთა საიმისოდ, რომ მიხეილ სააკაშვილს არ ჰქონოდა შესაძლებლობა ქართველი ხალხის წინაშე წარმდგარიყო, რადგან სასამართლოს განაჩენი ქართველი ხალხის სახელით გამოაქვს. საქართველოში ხელისუფლების წყარო არის ხალხი, ქართველი ხალხისთვის მიხეილ სააკაშვილი პოლიტიკური შურისძიების მსხვერპლია და არა აბსურდული ბრალდებების სუბიექტი. ამ ვითარებაში, ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს სამოქალაქო საზოგადოების აქტიურობას და საერთაშორისო ზეწოლას, რომლის ფონზეც ფანჯარა გაჩნდა იმისთვის, რომ მიხეილ სააკაშვილი სასამართლოში იქნეს გადმოყვანილი, რაზეც ჩვენ პირველივე დღიდან გვქონდა მოთხოვნა. იმედი გვაქვს, 29 ნოემბერს ეს შესაძლებლობა რეალიზებული იქნება.

მიხეილ სააკაშვილის დიდი სურვილია, ამ პროცესებს, განხილვებს დაესწროს. შესაბამისად, ვიმედოვნებთ, რომ ფიზიკური შესაძლებლობა საამისოდ მას ექნება, – განაცხადა ბასილაიამ.

მიხეილ სააკაშვილმა გორის სამხედრო ჰოსპიტლიდან გამოგზავნილ წერილში განაცხადა, რომ მას „უსამართლო სასამართლოს უფლება მაინც მისცენ და დაასწრონ საკუთარ პროცესებს, სადაც დაელაპარაკება ქართველ ხალხს და არა ივანიშვილს და მის მარიონეტებს“.

იუსტიციის მინისტრმა რატი ბრეგაძემ რამდენიმე დღის წინ განაცხადა, რომ სააკაშვილის სასამართლო პროცესებზე დასწრების საკითხზე 2 მთავარი ფაქტორი იყო – უსაფრთხოება და ჯანმრთელობის მდგომარეობა და როგორც კი რისკი იქნება გამორიცხული, პენიტენციური სამსახური შეძლებს მის გადაყვანას სასამართლო დარბაზში.

# 304.363 ლარის მითვისებისთვის 1 პირი დააკავეს, 1 პასუხისგებაში მისცეს



საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებმა, გატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, მართლზომიერ მფლობელობაში არსებული, სახელმწიფოს კუთვნილი დიდი ოდენობით თანხის მართლსაწინააღმდეგო მითვისების ფაქტზე, ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მისცეს ორი პირი, რომელთაგანაც ერთი დაკავებულია.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულებმა, უკანონო მატერიალური სარგებლის მიღების მიზნით, მათი მართვის ქვეშ მყოფი კომპანიის სახელით, მონაწილეობა მიიღეს და გაიმარჯვეს ერთ-ერთი სახელმწიფო უწყების მიერ გამოცხადებულ ორ ტენდერში, რის შემდეგაც, შესაბამისი ინფრასტრუქტურული სამუშაოების შესასრულებლად, ავანსის სახით მოითხოვეს და მიიღეს ჯამში 757.061 ლარი, საიდანაც მართლსაწინააღმდეგოდ დაეუფლნენ 304.363 ლარს და არ შეასრულეს ხელშეკრულებებით გათვალისწინებული სამუშაოები.

გამოძიება მიმდინარეობს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 182-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებით, რაც სასჯელის სახედ ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 7-დან 11 წლამდე ვადით.

# საქართველოს შს მინისტრი თურქეთის რესპუბლიკის ელჩს შეხვდა



საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრმა, ვახტანგ გომელაურმა, საქართველოში თურქეთის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩთან, ფატმა ჯერენ იაზგანთან, საქართველოში თურქეთის რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ახლად მოვლენილ მრჩევლებთან – ნეჯმეთინ აქჩასა და ნეჯმი ინჯესთან შეხვედრა გამართა.

მინისტრმა მრჩევლებს თანამდებობაზე დანიშვნა მიულოცა და მომავალ საქმიანობაში წარმატება უსურვა. ვახტანგ გომელაურმა იმედი გამოთქვა, რომ მათი ჩართულობით მხარეთა შორის არსებული ნაყოფიერი თანამშრომლობა კიდევ უფრო განმტკიცდება.

შეხვედრის მონაწილეებმა სამართალდაცვით სფეროში ორმხრივი თანამშრომლობის საკითხები განიხილეს და სამომავლო ურთიერთობის პერსპექტივები დასახეს.

# ანგელა მერკელი: „უკრაინაზე თავდასხმის შემთხვევაში რუსეთი მკაცრად დაისჯება“



– ევროკავშირი მზად უნდა იყოს რუსეთის წინააღმდეგ დამატებითი სანქციების დაწესებისთვის, თუ აღმოსავლეთ უკრაინასა და მის გარშემო, ან პოლონეთი-ბელარუსის საზღვარზე ვითარება გამწვავდება.

ამის შესახებ გერმანიის კანცლერის მოვალეობის შემსრულებელმა, ანგელა მერკელმა პოლონელ კოლეგასთან, მატეუშ მორავიეცკისთან ერთობლივ პრესკონფერენციაზე განაცხადა.

მისი თქმით, ბელარუსის მიერ პოლონეთის წინააღმდეგ მიგრანტების „იარაღად“ გამოყენებისა და რუსეთის მიერ უკრაინის საზღვართან ჯარების განლაგების საკითხებთან დაკავშირებით ევროკავშირი ერთიანი უნდა იყოს.

– ნებისმიერი აგრესია უკრაინის სუვერენიტეტის წინააღმდეგ ძვირად დაჯდება, – განაცხადა მერკელმა და დასძინა, რომ უპირატესობა ყოველთვის სიტუაციის განმუხტვას უნდა მიენიჭოს.

უკრაინის საგარეო საქმეთა მინისტრი დიმიტრი კულება რუსეთს აფრთხილებს, რომ მის ქვეყანაზე თავდასხმა გამოიწვევს „პოლიტიკურ, ეკონომიკურ და ადამიანურ დანაკარგებს“ და ძალიან ძვირი დაჯდება.

– ჩვენ არ ვცდილობთ გამოვიცნოთ, რა უდევს პუტინს თავში. ვმუშაობთ იმისათვის, რომ მას მკაფიოდ ავუხსნათ – უკრაინაზე ახალი თავდასხმა ძალიან ძვირი დაჯდება, ამიტომ ჯობია, ეს არ გააკეთოს, – აღნიშნა კულებამ.

მისი თქმით, კიევის მთავარი მიზანი „შემდგომი აგრესიული ქმედებების განხორციელებისგან“ რუსეთის შეკავებაა.

– მოსკოვმა მკაფიოდ უნდა გაიგოს, რა პოლიტიკურ, ეკონომიკურ და ადამიანურ ზარალს მოიტანს აგრესიის ახალი ეტაპის შემთხვევაში, – განაცხადა კულებამ.

რუსეთი უკრაინის საზღვართან საკუთარი ძალების რაოდენობას ზრდის, რის გამოც კიევი, შეერთებული შტატები და ნატო გამოთქვამენ შეშფოთებას, რომ რუსეთმა, შესაძლოა, ახალი თავდასხმა განახორციელოს. კრემლი ამ ინფორმაციას უარყოფს და მცდარს უწოდებს.

# შვედეთის ქალი პრემიერი დამტკიცებიდან 7 საათში გადადგა



შვედეთის პირველმა ქალმა პრემიერ-მინისტრმა თანამდებობა პარლამენტის მიერ მისი დამტკიცებიდან რამდენიმე საათში დატოვა.

მაგდალენა ანდერსონმა თანამდებობიდან გადადგომის გადაწყვეტილება მას შემდეგ მიიღო, რაც მისმა კოალიციურმა პარტნიორმა, „მწვანეთა პარტიამ“ მთავრობა დატოვა იმის გამო, რომ პარლამენტმა კოალიციის მიერ წარდგენილ ბიუჯეტის პროექტს მხარი არ დაუჭირა.

– არსებობს საკონსტიტუციო პრაქტიკა, რომლის თანახმადაც, კოალიციური მთავრობა უნდა გადადგეს, როდესაც ერთი პარტია მას ტოვებს. არ მსურს, ვხელმძღვანელობდე მთავრობას, რომლის ლეგიტიმურობაც ეჭვის ქვეშ დადგება. ვთხოვე პარლამენტის სპიკერს, გამათავისუფლოს პრემიერ-მინისტრის მოვალეობებისგან, – განაცხადა მაგდალენა ანდერსონმა.

ამასთან, მან იმედი გამოთქვა, რომ პარლამენტი მხარს, როგორც ერთპარტიული მთავრობის ლიდერს, ხელახლა დაუჭერს.

– მზად ვარ, ვიყო პრემიერ-მინისტრი ერთპარტიულ, სოციალ-დემოკრატიულ მთავრობაში, – აღნიშნა მაგდალენა ანდერსონმა.

შვედეთის პარლამენტმა მაგდალენა ანდერსონი პრემიერ-მინისტრად ოთხშაბათს დაამტკიცა.

# ევროპაში 5–11 წლის ბავშვებში ფაიზერის ვაქცინის გამოყენება დაამტკიცეს




ევროკავშირის მარეგულირებელმა ორგანომ, ევროპის მედიკამენტების სააგენტომ, 5-11 წლის ასაკის ბავშვებში კორონავირუსის საწინააღმდეგო „ფაიზერ/ბიონტექის“ ვაქცინის გამოყენების ნებართვა გასცა.

უწყების რეკომენდაციის თანახმად, აღნიშნული ასაკის ბავშვებს ვაქცინის 10– მიკროგრამიანი დოზით, ორჯერ, სამი კვირის შუალედით აცრიან.

„ვაქცინის 5-დან 11 წლის ასაკის ბავშვებში გამოყენების სარგებელი აღემატება რისკებს“ – ნათქვამია ევროპის მედიკამენტების სააგენტოს განცხადებაში.

ვაქცინის გამოყენება საბოლოოდ ევროკომისიამ უნდა დაამტკიცოს, რომელიც, როგორც წესი, ევროპის მედიკამენტების სააგენტოს რეკომენდაციას ითვალისწინებს.

– ამ რეკომენდაციით აშკარაა, რომ „ფაიზერ/ბიონტექის“ ვაქცინა უსაფრთხო და ეფექტურია მცირეწლოვანი ბავშვებისთვის და შეუძლია მათ დამატებითი დაცვა შესთავაზოს, – განაცხადა ევროკავშირის კომისარმა ჯანდაცვის საკითხებში სტელა კირიაკიდესმა.

ევროკავშირის ქვეყნებისთვის „ფაიზერ/ბიონტექის“ ვაქცინის 12-17 წლის ბავშვებში გამოყენება მიმდინარე წლის მაისში დაამტკიცეს.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

# ოფისში შეჭრილმა ვარანმა თანამშრომლების შეაშინა და თვითონაც შეშინდა



ორმეტრიანი ზოლიანი ვარანი სრული სისწრაფით შეიჭრა საკურიერო კომპანიის ოფისში, რომელიც ტაილანდის კუნძულ სამუიზე მდებარეობს, იქ ნამდვილი არეულობა მოაწყო, შეაშინა დაწესებულების თანამშრომლები და თავადაც შეშინებული დარჩა.

შენობაში დაყენებული სათვალთვალო კამერების მიერ გადაღებულ ვიდეოჩანაწერში ჩანს, თუ როგორ მშვიდად მუშაობენ იქ მყოფი ქალები. შემდეგ ერთ-ერთმა მათგანმა თავი ასწია და უზარმაზარი ვარანი შენიშნა. რეპტილია კადრში მოულოდნელად შემოიჭრა, ოთახის ბოლოს გაჩერდა, ქალებმა კი წივილ-კივილი ატეხეს.

ერთ-ერთი თანამშრომელი გარეთ გავარდა, ამ დროს კი მეორე მის მაგიდაზე ახტა. მესამე ოთახის კუთხეში მიიყუჟა და განწირული ხმით დახმარებას ითხოვდა. შეშინებულმა ქალმა განაცხადა, რომ ოფისში შეჭრილი ვარანი სხვა სახეობის რეპტილიად მიიჩნიეს, რომელიც გამუდმებით კბენს ადამიანებს და იფიქრეს, რომ უზარმაზარი ხვლიკი მათ თავს დაესხმოდა.

– ეს ყველზე საშინელი რამ იყო, რაც კი ოდესმე ჩვენ ოფისში მომხდარა. სულ პაწაწინა ხვლიკის დანახვაც კი მაშინებს, ამიტომ, როდესაც ოფისში ვარანი შემოვარდა, შიშისგან რამის გული გამისკდა. ვიფიქრე, რომ თავს დაგვესხმოდა, – განმარტა ოფისის თანამშრომელმა.

არანაკლებ შეშინებულად გამოიყურებოდა ვარანიც, რომელიც მისთვის უჩვეულო გარემოში აღმოჩნდა. ის კუთხეში მიიყუჟა და მძიმედ სუნთქავდა. შემთხვევის ადგილზე ცხოველთა მაშველი ორგანიზაციის თანამშრომლები მივიდნენ და ვარანს ოფისის დატოვებაში დაეხმარნენ. ამ ინციდენტის შედეგად რეპტილია არ დაშავებულა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

# ქალი მზადაა უცხოპლანეტელებთან შეხვედრის მტკიცებულება წარმოადგინოს



ტიკტოკის მომხმარებელმა @sheerarejoice-მ განაცხადა, რომ მისი კვერცხუჯრედები უცხოპლანეტელებმა გაიტაცეს და არამიწიერ არსებებთან შეხვედრის მტკიცებულებების წარმოდგენის მზადყოფნა გამოთქვა.

შირა ლიუმირა რეჯოისმა განაცხადა, რომ თითქოსდა სამი წლის წინ უცხოპლანეტელები მიფრინდნენ მის სახლში. ქალი ამტკიცებს, რომ ყველაფერი 2018 წელს მას შემდეგ დაეწყო, როდესაც ძილის პარალიჩი დაემართა, როდესაც დივანზე მწოლარე დაძინებას ცდილობდა.

– თითქოსდა გავშეშდი, ჩემი სხეული მოძრაობას ვერ ახერხებდა. კარს შევხედე, ის გაიღო. კარის ჭრილში გამოჩნდა ჰოლოგრამის მსგავსი ადამიანის ფიგურა, – განაცხადა ქალმა. რეჯოისის თქმით, მას კვერცხუჯრედები ამოაცალეს, თუმცა თავად პროცესს „სუფთა ბედნიერება“ უწოდა.

– იმ ყმაწვილმა მითხრა, რომ სამი ჰიბრიდი-ბავშვი მყავს, ვინაიდან სამი კვერცხუჯრედი ამომაცალეს, – აღნიშნა ქალმა. ის ამტკიცებს, რომ მას ნაწიბურები დარჩა კვერცხუჯრედების მოშორების ადგილას და რომლებიც ულტრაბგერითი გამოკვლევის დროს ჩანს. მისი თქმით, ის მზადაა ეს ყოველივე აჩვენოს ყველა მსურველს, როგორც უცხოპლანეტელებთან კონტრაქტის მტკიცებულება.

უცხოპლანეტური ცივილიზაციის წარმომადგენლებთან შეხვედრის შემდეგ ქალმა უარი თქვა ალკოჰოლზე, მოწევასა და კოფეინზე. უფრო მეტ დროს ატარებს ბუნებაში, ხოლო მისი სხეული სულ უფრო მეტად ჯანსაღდება.

ქალის მიერ გამოქვეყნებულმა ვიდეომ მილიონზე მეტი ნახვა და 265 ათასზე მეტი მოწონება მიიღო. თუმცა ბევრმა მისი მონაყოლი არ დაიჯერა.

# ტურა სოფლის მცხოვრებლებს თავს დაესხა და რვა ადამიანი დააშავა



ინდოეთის კატიხარის ოლქში ტურა თავს დაესხა 40 ადამიანს, რვა მათგანი დააშავა და ბოლოს ადგილობრივებმა მოკლეს.

ბოლო ერთი კვირის განმავლობაში ოლქის ხუთი სოფლის მცხოვრებლებმა ტურას თავდასხმა გადაიტანეს. დაშავდნენ ბავშვები, ქალები და მამაკაცები. რვა მათგანმა სერიოზული დაზიანებები მიიღო.

ერთ-ერთი ადგილობრივის აფსარ ალამას თქმით, ცხოველი მას თავს იმ დროს დაესხა, როდესაც ფერმაში მუშაობდა. სოფლის მეორე მკვიდრი მტაცებელ ცხოველს ბრინჯის ყანაში გადაეყარა და მისი თავდასხმის შემდეგ თავი საავადმყოფოში ამოყო.

ამ ყოველივეს გამო, შეშფოთებული ადგილობრივები დღე და ღამე მორიგეობდნენ, რათა ცხოველის გამოჩენა არ გამოპარვოდათ და მოულოდნელ თავდასხმას აღარ ჰქონოდა ადგილი. კვირას, 21 ნოემბერს, სოფლის მცხოვრებლებმა მტაცებლის დაჭერა და მოკვლა მოახერხეს.

# ცოლმა ქმარი მისი უკვდავობისთვის ცოცხლად დამარხა

ინდოეთის ტამილანდის შტატის ქალაქ ჩენაიში ქალი მეუღლის ცოცხლად დამარხვაშია ეჭვმიტანილი. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, მამაკაცმა თავად სთხოვა ცოლს, რომ ცოცხლად დაემარხა, ვინაიდან თვლიდა, რომ ამით უკვდავი გახდებოდა.

59 წლის ნაგარაჯიმ შტატის რამდენიმე ტაძარი მოილოცა და განაცხადა, რომ ღვთისმსახურია და ღმერთთან პირდაპირი ურთიერთობა აქვს. შემდეგ მან დამოუკიდებლად ააგო მომცრო ტაძარი საკუთარი სახლის უკანა ეზოში და მრევლს უქადაგებდა.

ნაგარაჯიმ მკერდში ტკივილი იგრძნო და ცოლს ლაკშნის უთხრა, რომ მოკვდებოდა. მამაკაცმა მეუღლეს სთხოვა, რომ ის ცოცხლად დაემარხა, რათა ამით უკვდავება მოეპოვებინა. როდესაც მამაკაცმა გონება დაკარგა, ლაკშმიმ ორი მუშა გამოიძახა და დიდი ორმოს ამოთხრა დაავალა. მისი თქმით, წყლის დიდ რეზერვუარისთვის სჭირდებოდა. როდესაც ორმო მზად იყო, მან მასში უგონო მდგომარეობაში მყოფი მეუღლე დამარხა.

როდესაც მამაკაცის ქალიშვილი სამსახურიდან სახლში დაბრუნდა, აღმოაჩინა, რომ მამა სახლში არ იმყოფებოდა. თავდაპირველად დედამ არაფერი გაუმხილა, მიუხედავად მისი მხრიდან უამრავი დასმული შეკითხვისა. ქალმა მხოლოდ ორი დღის შემდეგ აღიარა ჩადენილი.

პოლიციამ მამაკაცის ცხედარი ამოთხარა და ექსპერტიზაზე გადააგზავნა, რომელმაც უნდა დაადგინოს, ცოცხლად დამარხა თუ არა ცოლმა მეუღლე.

# მამაკაცი ოთხი წელი ერთი და იგივე რიცხვებით თამაშობდა და ჯეკპოტი მოხსნა




ამერიკის ვისკონსინის შტატის დასახლება გრანდ ვიუს მკვიდრი ოთხი წელი ლატარიას ერთი და იგივე რიცხვებით თამაშობდა და საბოლოოდ გამარჯვებას მიაღწია.

62 წლის კერტის ოლსონმა ლატარიის ბილეთი მიჩიგანის შტატის ქალაქ აირონვუდის მაღაზიაში შეიძინა. მან მასში იგივე რიცხვები ჩაწერა, რომლითაც ოთხი წლის მანძილზე თამაშობდა. შედეგად მამაკაცმა ჯეკპოტი მოხსნა და გამდიდრდა.

– გათამაშების მეორე დილას შევამოწმე რიცხვები და მაშინვე მივხვდი, რომ წარმატებას მივაღწიე. თუმცა, ამის მიუხედავად, რამდენიმე დღე მაინც გაოგნებული დავდიოდი. მე და ჩემი მეუღლე ბედნიერებისგან მეცხრე ცაზე ვართ! – განაცხადა ამერიკელმა.

ოლსონმა მოგების ერთიანად მიღება ამჯობინა და არა თანდათანობით მიღება. ყველა გადასახადის გასტუმრების შემდეგ მისმა მოგებამ 390 ათასი დოლარი შეადგინა.

# მონადირემ ფეხზე კბენისთვის დათვზე შური იძია

საფრანგეთის მკვიდრმა ცეცხლსასროლი იარაღით მოკლა მურა დათვი, რომელიც მას თავს დაესხა და ფეხზე უკბინა.

70 წლის მონადირემ არიეჟის დეპარტამენტის სეს კომუნის მახლობლად ძუ დათვის თავდასხმის შედეგად ფეხი დაიზიანა. მტაცებელმა ცხოველმა ფრანგს ფეხზე უკბინა და არტერია სერიოზულად დაუზიანა. მამაკაცმა გადაწყვიტა, შური ეძია და დათვი მოკლა.

დაშავებული მამაკაცი იპოვეს და გადაარჩინეს ჟანდარმებმა. დაშავებული ტულუზის საავადმყოფოში გადაიყვანეს. მისი მდგომარეობა ექიმების შეფასებით მძიმეა. შემთხვევის ადგილიდან რამდენიმე მეტრში სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლებმა მოკლული დათვის გვამს მიაგნეს.

საფრანგეთის ბიომრავალფეროვნების სამმართველოს თანამშრომლები მომხდარის გარემოებებს სწავლობენ. დადგენილია, რომ დაშავებული ადგილობრივი მონადირეების ასოციაციის წევრი იყო. თავდასხმის დროს ძუ დათვი ბელებთან ერთად იმყოფებოდა.

# საქართველოს თასის ფინალში სამგურალი და საბურთალო ითამაშებენ

საქართველოს დავით ყიფიანის სახელობის თასის ნახევარფინალური ეტაპის მატჩები გაიმართა, რომლებიც ტრაგიკულად გარდაცვლილი, საფეხბურთო კლუბ ზესტაფონის დამაარსებლისა და პრეზიდენტის, ილია კოკაიას ხსოვნის პატივსაცემად წუთიერი დუმილით დაიწყო.

### საბურთალო-დინამო (ბთ) 2:1

**თბილისი. მიხეილ მესხი**

**1:0 მანდრიჩენკო (34), 2:0 ნონიკაშვილი (54) 2:1 მამუჩაშვილი (84პ)**

**საბურთალო**: გოშაძე, მალი, კაკუბავა, ჯგერენაია, ლაცაბიძე, ძებნიაური, შ.ნონიკაშვილი, გოჩოლეიშვილი (კვერნაძე 89), მანდრიჩენკო (ო.მამაგეიშვილი 90), ი.ტაბატაძე, გულიაშვილი

**დინამო**: კუპატაძე, ჩაბრაძე (მანჯგალაძე 82), კობახიძე, აზაცკი, აზაროვი, ტეიდი, მამუჩაშვილი, ვ.გაფრინდაშვილი (ნავალოვსკი 60), ფლამარიონი, ჯილაური (ზარია 60), ფანცულაია (ნიქაბაძე 70)

თბილისში, მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე გაიმართა, სადაც ერთმანეთს საბურთალო და ბათუმის დინამო დაუპირისპირდნენ. მატჩი გარდამავალი უპირატესობით წარიმართა და საბურთალოელთა გამარჯვებით დასრულდა – 2:1.

ანგარიში 34-ე წუთზე გაიხსნა: ბათუმელთა დაცვა ჩავარდა, კერძოდ, მამუკა კობახიძემ ბურთი ვერ ამოიტანა და დმიტრი მანდრიჩენკომ ახლო მანძილიდან გაიტანა. პირველ ტაიმში მომენტები ორივე გუნდის კართან შეიქმნა. განსაკუთრებით კარგი შანსები ჰქონდა საბურთალოს, მაგრამ ანგარიში არ შეცვლილა.

თუმცა, ლევან კორღალიძის გუნდმა 2-ბურთიანი უპირატესობა მე-2 ტაიმის სტარტზე მოიპოვა – 54-ე წუთზე შოთა ნონიკაშვილმა საშუალო დისტანციიდან აუღებელი დაარტყა.

დარჩენილ დროში სათამაშო ინიციატივა ბათუმელებმა მოიპოვეს, მეტოქის კართან რამდენიმე რეალური საგოლე მომენტიც შექმნეს, მაგრამ სასურველი შედეგის დაფიქსირება ვერ შეძლეს. 84-ე წუთზე ვლადიმერ მამუჩაშვილმა პენალტი კი შეასრულა ზუსტად, მაგრამ მეტის გასაკეთებლად ზღვისპირელებს არც დრო ეყოთ და არც ძალა.

### შუქურა-სამგურალი 2:3

**ქობულეთი. ჩელე არენა**

**0:1 ა.ველურიძე (68), 1:1 ზ.ვერულიძე (77), 2:1 გაფრინდაშვილი (84), 2:2 ჭანტურია (87სკ), 2:3 ფონიავა (89)**

**შუქურა**: შეროზია, ფარტენაძე, ვარშანიძე (გ.გაფრინდაშვილი 70), ჭანტურია, მუსელიანი, ხმალაძე (ზ.ვერულიძე 74), ინგოროყვა, კომახიძე, რეხვიაშვილი, კაკაშვილი, ჯეფერსონ ჯერალდო

**სამგურალი**: ქვილითაია, პატარკაციშვილი, კუხიანიძე (ამინუ 78), ფონიავა, დ.კირკიტაძე (ბუხაიძე 86), კალანდარიშვილი, ა.ვერულიძე, ქურდაძე, ლექვთაძე (ახვლედიანი 78), ბურჯანაძე (ჩიხლაძე 86), კიკაბიძე (დოლიძე 87)



ქობულეთის „ჩელე არენაზე“ ადგილობრივმა შუქურამ წყალტუბოს სამგურალს უმასპინძლა და 2:3 დამარცხდა.

განსაკუთრებით საინტერესო და დაძაბული მატჩის მეორე ნახევარი გამოდგა. 67-ე წუთამდე ტაბლოზე 0:0 კიაფობდა და გუნდები მხოლოდ ამის შემდეგ გაიხსნენ. ალექსანდრე ვერულიძემ დასწრებაზე კარგად ითამაშა და ახლო მანძილიდან გადაგზავნა ბურთი შუქურას კარში. ზღვისპირელებმა წონასწორობა სწრაფად აღადგინეს – 77-ე წუთზე შედეგიანი დარტყმა ზექა ვერულიძემ შეასრულა.

მატჩი ორმხრივი შეტევებით გაგრძელდა და 84-ე წუთზე მასპინძლები დაწინაურდნენ – შეცდომა ამჯერად მაქსიმე ქვილითაიამ დაუშვა, რომელმაც სველი ბურთი ხელში ვერ შეიმაგრა.

დარჩენილ დროში უკვე სამგურალი გააქტიურდა და სოსო ფრუიძის გუნდმა ძირითად დროშივე მოახერხა სასურველი შედეგის დაფიქსირება: 87-ე წუთზე ნიკა ჭანტურიამ ბურთი საკუთარ კარში ჩაჭრა, 89-ზე კი პაპუნა ფონიავამ ეფექტური შორეული დარტყმით გაიტანა და სამგურალი საქართველოს თასის ფინალში ზედიზედ მეორედ იასპარეზებს.

საქართველოს დავით ყიფიანის სახელობის თასის 2021 წლის სეზონის ფინალური დაპირისპირება ქუთაისის რამაზ შენგელიას სახელობის სტადიონზე წყალტუბოს სამგურალსა და თბილისის საბურთალოს შორის 8 დეკემბერს გაიმართება.

# მილანმა ფლეი ოფის შანსი შეინარჩუნა

**ჩემპიონთა ლიგის მეხუთე ტურის მეორე სათამაშო დღეს კიდევ რამდენიმე გუნდმა გაარკვია ფლეი ოფის ბედი.**



## ა ჯგუფი

### სიტი-პსჟ 2:1

**მანჩესტერი. ეტიჰადი**

**0:1 მბაპე (50), 1:1 სტერლინგი (63), 2:1 ჟეზუსი (76)**

მანჩესტერული კლუბი შემდეგ ეტაპზე გასული იყო, მაგრამ ვარსკვლავებით გავსებულ პარი სენ ჟერმენს მაინც მოუგო.

არადა, პსჟ მბაპეს გოლით იგებდა. თუმცა, სტერლინგმა და ჟესუსმა საქმე გაურთულეს. ერთია, პსჟ-ს ძალიან წაეხმარა პარალელური მატჩი და მაურიციო პოჩეტინოს გუნდი წაგებითაც გავიდა ფლეი ოფში.

### ბრიუგე-ლაიფციგი 0:5

**ბრიუგე. იან ბრეიდელი**

**0:1 ნკუნკუ (12), 0:2 ფორსბერგი (17პ), 0:3 ა.სილვა (26), 0:4 ფორსბერგი (45), 0:5 ნკუნკუ (90)**

სწორედ ლაიფციგის დახმარებით გავიდა ფლეი ოფში პსჟ. გერმანულმა კლუბმა საშინაო წაგებისთვის „შური იძია“, ბრიუგე საკუთარი მაყურებლის თვალწინ შეარცხვინა.

ლაიფციგმა ყველაფერი ჯერ კიდევ პირველ ტაიმში გადაწყვიტა, როდესაც მეტოქეს 4 უპასუხო გოლი გაუტანა. მეორე ტაიმი გაცილებით მშვიდი გამოდგა და მაყურებელმა გოლი მატჩის ბოლოსღა იხილა.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.სიტი | 5 | 4 | 0 | 1 | 17-8 | 12 |
| 2.პსჟ | 5 | 2 | 2 | 1 | 9-7 | 8 |
| 3.ლაიფციგი | 5 | 1 | 1 | 3 | 13-13 | 4 |
| 4.ბრიუგე | 5 | 1 | 1 | 3 | 5-16 | 4 |

## ბ ჯგუფი

### ატლეტიკო-მილანი 0:1

**მადრიდი. ვანდა მეტროპოლიტანო**

**0:1 მესიასი (87)**

მილანმა მატჩის ბოლოსკენ გაიტანა გოლი და შემდეგ ეტაპზე გასვლის შანსი დაიტოვა. საერთოდ, ამ დღეს მილანელებს ძალიან გაუმართლათ, რადგან პარალელურ მატჩში ლივერპულიც წაეხმარა.

თითქმის თანაბარ თამაშში ფრე ლოგიკურიც კი იქნებოდა, მაგრამ ეს უკვე მილანელებისთვის კატასტროფას ნიშნავდა. გუნდმა ბოლომდე იბრძოლა და 3 ქულაც ალალად დაიმსახურა.

### ლივერპული-პორტუ 2:0

**ლივერპული. ენფილდი**

**1:0 ალკანტარა (52), 2:0 სალაჰი (70)**

ლივერპულისთვის შედეგს მნიშვნელობა არ ჰქონდა, მაგრამ იურგენ კლოპის გუნდმა ფეარ ფლეის წესები არ დაარღვია და 2:0 მოიგო.

პორტუ კონკურენტებთან შედარებით უკეთეს მდგომარეობაშია, რადგან მაინც მეორე ადგილზე დარჩა, მაგრამ ჯერ საქმე ბოლომდე აქვს მისაყვანი.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ლივერპული | 5 | 5 | 0 | 0 | 15-5 | 15 |
| 2.პორტუ | 5 | 1 | 2 | 2 | 3-8 | 5 |
| 3.მილანი | 5 | 1 | 1 | 3 | 5-7 | 4 |
| 4.ატლეტიკო | 5 | 1 | 1 | 3 | 4-7 | 4 |

## ც ჯგუფი

### სპორტინგი-დორტმუნდი 3:1

**ლისაბონი. ხოსე ალვალადე**

**1:0, 2:0 პოტე (30, 39), 3:0 პორო (81), 3:1 მალენი (90)**

**გაძევება**: ჯანი (დორტმუნდი)

სპორტინგმა ისარგებლა იმით, რომ დორტმუნდი უძლიერესი შემადგენლობით ვერ ჩავიდა ლისაბონში და ფლეი ოფში გასვლა გაინაღდა.

პირველ ტაიმში პოტეს დუბლით სპორტინგმა გამარჯვებულის ვინაობა ვადაზე ადრე გადაწყვიტა. დორტმუნდელების საქმე იმანაც გაართულა, რომ მოედნიდან ემრე ჯანიც გაუძევეს. ამის შემდეგ გუნდებმა გოლები გაცვალეს და დაიშალნენ...

### ბეშიქთაში-აიაქსი 1:2

**სტამბული. ვოდაფონე**

**1:0 გეზალი (22პ), 1:1, 1:2 ალერი (54, 69)**

აიაქსი აგრძელებს გულშემატკივართა გაოცებას და ისევ იგებს. არადა, პირველი ტაიმის შემდეგ ბეშიქთაში იგებდა. ამსტერდამელთათვის არც ეს იყო პრობლემა, მაგრამ სებასტიან ალერმა მაინც გაიტანა 2 გოლი.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.აიაქსი | 5 | 5 | 0 | 0 | 16-3 | 15 |
| 2.სპორტინგი | 5 | 3 | 0 | 2 | 12-8 | 9 |
| 3.დორტმუნდი | 5 | 2 | 0 | 3 | 5-11 | 6 |
| 4.ბეშიქთაში | 5 | 0 | 0 | 5 | 3-14 | 0 |

## დ ჯგუფი

### ინტერი-შახტარი 2:0

**მილანი. სან სირო**

**1:0, 2:0 ჯეკო (67)**

ინტერმა ედინ ჯეკოს დუბლის წყალობით 2:0 მოიგო და ამ ჯგუფში შერიფის ზღაპარს წერტილი დაუსვა.

მილანელებმა 2 ბურთით კი მოიგეს, მაგრამ იმდენი რეალური მომენტი ვერ გამოიყენეს, 3-4 მატჩს რომ ეყოფოდა.

შახტარი ძალიან უსუსურად გამოიყურებოდა და გასაკვირიც არ არის, ბოლო ადგილზე რომ დარჩება.

### შერიფი-რეალი 0:3

**ტირასპოლი. სპორტარენა**

**0:1 ალაბა (30), 0:2 კროოსი (45), 0:3 ბენზემა (55)**

რეალმა პირველი მატჩი შინ სენსაციურად წააგო, მაგრამ ტირასპოლში ყველას დაანახა, თუ ვინ არის მოედანზე ძლიერი. კარლო ანჩელოტის გუნდმა იგივე შეცდომები აღარ დაუშვა და ძალიან მარტივად იმარჯვა.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.რეალი | 5 | 4 | 0 | 1 | 12-3 | 12 |
| 2.ინტერი | 5 | 3 | 1 | 1 | 8-3 | 10 |
| 3.შერიფი | 5 | 2 | 0 | 3 | 6-10 | 6 |
| 4.შახტარი | 5 | 0 | 1 | 4 | 1:11 | 1 |

*მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა*

## შედეგები

**24 ნოემბერი**

**ფეხბურთი**

### უეფას ჩემპიონთა ლიგა

ბეშიქთაში-აიაქსი ........................ 1:2
ინტერი-შახტარი ........................ 2:0
ატლეტიკო-მილანი ........................ 0:1
ბრიუგე-ლაიფციგი ........................ 0:5
ლივერპული-პორტუ ........................ 2:0
სიტი-პსჟ ........................ 2:1
სპორტინგი-დორტმუნდი ........................ 3:1
შერიფი-რეალი ........................ 0:3

### უეფას ევროპის ლიგა

სპარტაკი-ნაპოლი ........................ 2:1

### ინგლისი. ჩემპიონლიგა

ბარნსლი-სუონსი ........................ 0:2
ბლექბერნი-პიტერბრო ........................ 4:0
ბრისტოლი-სტოკი ........................ 1:0
კარდიფი-ჰალი ........................ 0:1
ქპრ-ჰადერსფილდი ........................ 1:0
მილუოლი-ბორნმუთი ........................ 1:1
ფულემი-დერბი ........................ 0:0

### გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა

ზ.პაული-ზანდჰაუზენი ........................ 3:1

### შოტლანდია. პრემიერლიგა

როსი-ჰიბერნიანი 1:0

### უკრაინა. პრემიერლიგა

მინაი-კოლოსი ........................ 1:1

## კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. სითხის რაოდენობა, რომელსაც წყარო იძლევა დროის ერთეულში; 2. ოჩამჩირის ძველბერძნული სახელწოდება; 3. „ვეფხისტყაოსნის“ დამსურათებელი ქართველი მხატვარი; 4. უმაღლესი ტექნიკური განათლების მქონე სპეციალისტი; 8. ცხვირის ღრუს გასასინჯი სარკე; 9. მორალური ხასიათის აზრი, გამონათქვამი, ზნეობრივი დარიგება; 11. შოტლანდიელთა მეორე სახელწოდება; 12. ჩეხური მოტოციკლეტი; 14. ქართული ფოლკლორული ანსამბლი; 16. გუნდური შეჯიბრება ცურვასა და მძლეოსნობაში; 17. კალათბურთის გამომგონებელი ამერიკელი პედაგოგი; 19. მეცნიერების და ხელოვნების მფარველი ღვთაება რომაულ მითოლოგიაში; 21. ბელგიის ფეხბურთელთა გუნდი.

**თარაზულად:** 5. უცხოური ვალუტის, ფასიანი ქაღალდების საბირჟო ფასის დადგენა; 6. ტანსაცმლის მწარმოებელი იტალიური ფირმა; 7. საერთაშორისო კრიმინალური პოლიცია; 10. კურორტ იალტის ძველი სახელწოდება; 13. მზის სისტემის პლანეტა; 15. სახელმწიფო ევროპაში; 18. იპოდრომი ინგლისში, სადაც ყოველწლიურად იმართება სამეფო დოღი; 20. ფულის გამოშვება; 22. კუთხე საქართველოში; 23. აშშ-ში გავრცელებული ფართოფარფლებიანი კოვბოური ქუდი; 24. თვალის ექიმი.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*



## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. ტრიუმი; 2. კილტი; 3. გრახტი; 4. ქორქია; 6. ფარაონი; 9. პაპყი; 11. კურიოზი; 15. ლაფონტენი; 16. ბონუსი; 17. პიკადორი; 19. იმპულსი; 21. პაპაინი; 22. პანეში.

**თარაზულად:** 5. ერისთავი; 7. ავსტრია; 8. დრაივი; 10. ფაბრიკა; 12. იფქლი; 13. კრუპი; 14. ბაყალხანა; 18. გრილი; 20. როსინი; 23. მაინცი; 24. პატი; 25. მოსედი; 26. შუნი; 27. ანანასი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. ციტატა; 2. ფერმერი; 3. გენლაინი; 4. იტალიანა; 8. ჩელენტანო; 9. მანომეტრი; 11. სეინერი; 12. ლელა; 14. არნო; 16. კორონერი; 17. პოინტერი; 19. სინუსი; 21. კანტი.

**თარაზულად:** 5. კერატიტი; 6. ტრავოლტა; 7. მეტრეველი; 10. ფიშერი; 13. ბენონი; 15. პლანერი; 18. ხორავა; 20. კარტიე; 22. სინდიკატი; 23. გრინფისი; 24. უტინოურა.

სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება
ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე

ახალი თაობა
გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

26 ნოემბერი

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 3.1129

ევრო — 3.4927

დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 4.1470

100 რუსული რუბლი — 4.1732

## ამინდის პროგნოზი 26 ნოემბრისათვის




# პედრი მოედანს იანვარში დაუბრუნდება



ბარსელონას ნახევარმცველი პედრი მოედანს, სავარაუდოდ, იანვარში დაუბრუნდება, რადგან მას ტრავმის რეციდივი ჰქონდა და ამის გამო პედრის უფრო დიდი დროის გამოტოვება მოუწია, ვიდრე ამას თავიდან ვარაუდობდნენ.

პედრიმ კომენტარიც გააკეთა ამის შესახებ და თქვა, რომ ის მოედანზე მანამდე არ დაბრუნდება, სანამ ტრავმას ბოლომდე არ მოიშუშებს.

პედრის გარეშე ბარსელონას ნახევარდაცვაში პრობლემები აქვს, რადგან ის ძირითადი შემადგენლობის ფეხბურთელია.

# ანჩელოტიმ თავისი ფეხბურთელები შეაქო



მადრიდის რეალის მთავარმა მწვრთნელმა კარლო ანჩელოტიმ შერიფთან მოგების შემდეგ თავისი ფეხბურთელები შეაქო და თქვა, რომ მათ ყველა მითითება ზედმიწევნით შეასრულეს და ამ მხრივ ყველაფერი იდეალურად იყო:

– თამაშის ხარისხით და შედეგით კმაყოფილი ვარ და ჩვენ ასე უნდა გავაგრძელოთ, რადგან ესპანეთის ჩემპიონატში ქულების დაკარგვის უფლება არ გვაქვს.

# ტიაგო: „პორტოსთან გატანილი გოლი თავდაჯერებას მომიმატებს"



ლივერპულის ესპანელმა ნახევარმცველმა ტიაგო ალკანტარამ პორტოს წინააღმდეგ გოლის გატანა შეძლო და მატჩის შემდეგ, ბუნებრივია, ამ თემაზეც ისაუბრა.

ტიაგოს თქმით, ეს გატანილი გოლი მას თავდაჯერებას შესძენს და მომავალში ის უფრო უკეთესად ითამაშებს:

– მიხარია, რომ თავის გამოჩენა შევძელი და, რაც მთავარია, გუნდს გამარჯვების მოპოვებაში დავეხმარე. ჩემთვის ეს მნიშვნელოვანი იყო.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

# იუმორი

ერთი დაქალი მეორეს ეუბნება:

– გუშინ ჩემი ქმარი სათევზაოდ წავიდა და ანკესი კი სახლში დატოვა...

– მერე, შენ რას ფიქრობ?

– რას და მგონი მეორე ანკესიც აქვს.

•••

ორი ნაცნობი შეხვდა ერთმანეთს. ერთი მეორეს ეუბნება:

– გახსოვს, 500 ლარი რომ მომეცი და არც კი დამიბრუნებია?

– მახსოვს.

– ხომ არ გავიმეოროთ?

•••

ერთი ახალგაზრდა მეორეს ეუბნება:

– ზამთრის არდადეგების დროს ვაპირებდი, ყველა იმ ადამიანს შევხვედროდი, რომლებიც მიყვარდა.

– მერე, შეხვდი?

– აღმოჩნდა, რომ ყველაზე მეტად ძილი მყვარებია.

•••

გამომძიებელი მოწმეს ეკითხება:

– უკაცრავად და დაკითხვის ხანგრძლივობამ ხომ არ გადაგღალათ?

– არა, რას ამბობთ, უკვე ოც წელზე მეტია, ცოლიანი ვარ!

•••

ნათესავი ქალს ეკითხება:

– აბა, როგორაა თქვენი ბავშვი, ერთობა საჩუქრებით?

– არა, ყველაფერი დალეწა... პლანშეტი, მანქანა, რკინიგზა, საათი...

– მართლა? და ჩვენი საჩუქარი?

– არა, თქვენი ჩაქუჩი მთელია...

•••

ერთი მეგობარი მეორეს ეკითხება:

– რატომაა, რომ პოლიციასთან აუცილებლად ნელა უნდა ჩაიარო მანქანით?

– იმიტომ, რომ ისინი ბავშვებივით არიან, შეიძლება, მოულოდნელად გზაზე გამოცვივდნენ...

# ლედი გაგამ და ტეილორ სვიფტმა დევიდ კომას სამოსი მოირგეს



მომღერლებმა ლედი გაგამ და ტეილორ სვიფტმა ქართველი დიზაინერის დავით კომახიძის, იგივე დევიდ კომას, სამოსი მოირგეს.

ლედი გაგას კაბა საზოგადოებას თავის დროზე პოდიუმზე ქართველმა მოდელმა ეთო მიგრიაულმა წარუდგინა.

მსოფლიო ვარსკვლავების ულამაზესი შავი კაბები დიზაინერის უახლესი კოლექციიდანაა.

დევიდ კომას კაბები დიდი ხანია მსოფლიოში ცნობილი ადამიანების გარდერობებში საპატიო ადგილს იკავებს.

# „საბავშვო ევროვიზიას" პარიზი უმასპინძლებს



რიგით მე-19 საბავშვო ევროვიზიას პარიზი უმასპინძლებს.

19 დეკემბერს საფრანგეთის დედაქალაქში ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ევროფესტივალი გაიმართება და მასში მონაწილეობას 19 ქვეყანა მიიღებს.

საბავშვო ევროვიზიაზე საქართველოს „რანინას" მეოთხე სეზონის გამარჯვებული, მომღერალი 10 წლის ნიკოლოზ ქაჯაია წარადგენს. ის მსმენელისთვის კომპოზიტორ გიგა კუხიანიძის სიმღერას „დავაგროვოთ ღიმილები" შეასრულებს. სიმღერაზე ვიდეორგოლი რეჟისორმა ზაზა ორაშვილმა გადაიღო.

საქართველოს ევროვიზიაზე წარმდგენის კლიპი ინტერნეტში გავრცელდა და მან ბევრი მოწონება დაიმსახურა.

# ვახტანგ ტატიშვილი 80 წლის გახდა



ცნობილი მომღერალი და ანსამბლ „ივერიას" სოლისტი ვახტანგ ტატიშვილი 80 წლის გახდა. იუბილე ხელოვანმა კოვიდპანდემიის გამო, მოკრძალებულად უახლოესი ადამიანების გარემოცვაში აღნიშნა.

ვახტანგ ტატიშვილი სასცენო კარიერამდე პედაგოგიური საქმიანობით იყო დაკავებული. ის ფიზიკის მასწავლებლად მუშაობდა.

1965 წლიდან კი იუბილარი მომღერალი სცენაზე გამოჩნდა. თავიდან ვახტანგ ტატიშვილი მუსიკალური გუნდის „ტრიოს" წევრი იყო, შემდეგ კი – ანსამბლ „ივერიას" სოლისტი. მომღერალს მონაწილეობა აქვს მიღებული კონცერტში: „ივერია, სიყვარული და", „უმცროსი და...", „ჩხიკვთა ქორწილი", „არგონავტები".

ღირსების ორდენის კავალერი და საქართველოს დამსახურებული არტისტი კვლავ შესაშურ ფორმაშია – დეკემბერში საქართველოს რეგიონებში ვახტანგ ტატიშვილის 6 საიუბილეო კონცერტი ჩატარდება. კონცერტები იუბილარი მომღერლის 80 წლის იუბილესა და ვახტანგ ტატიშვილისა და ნუგზარ კვაშალის მონაწილეობით ყველასათვის საყვარელი სასცენო დუეტის, „ორი ჯუჯას", სცენაზე გამოჩენიდან 35 წლისთავსაც მიეძღვნება.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**



# საკუთარ თავზე დაქორწინებულმა მოდელმა განქორწინება გადაწყვიტა

ბრაზილიის ქალაქ სან-პაულუში მოდელს, რომელიც საკუთარ თავზე იყო დაქორწინებული, მამაკაცი შეუყვარდა, სიყვარულის ირწმუნა და განქორწინება გადაწყვიტა.

მიმდინარე წლის სექტემბერში 33 წლის კრის გალერამ განაცხადა, რომ მას მარტო ყოფნა მოსწონს, ხოლო პარტნიორის არყოფნა გუნება-განწყობას სულაც არ უფუჭებს. საკუთარი სიტყვების დასამტკიცებლად, მან საკუთარ თავზე იქორწინა.

თუმცა აღნიშნული ქორწინება დიდხანს არ გაგრძელდა და ქორწილიდან თითქმის სამ თვეში გალერა განქორწინებაზე ფიქრობს. მან აღიარა, რომ შეხვდა მამაკაცს და შეუყვარდა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

# ასტროპროგნოზი



26 ნოემბრისათვის

**ვერძი** – დღეს სამოგზაუროდ ნუ წახვალთ. ნებისმიერი ვოიაჟით უკმაყოფილო დარჩებით. სიზმარი, სავარაუდოდ, წინასწარმეტყველური იქნება. **კურო** – სოციალურ სფეროში ფართო პერსპექტივები ჩნდება. კეთილისმყოფელი დღეა სამომავლო გეგმების შესამუშავებლად. **ტყუპები** – საოჯახო საქმეების მოგვარება დაუყოვნებლივ დაიწყეთ. მამაკაცები ფინანსებს გაუფრთხილდით. **კირჩხიბი** – დასვენება გჭირდებათ. ოჯახში მშვიდი ატმოსფეროა. ბავშვებთან ურთიერთობა სიამოვნებას მოგანიჭებთ. **ლომი** – ცვლილებების დროა. ელოდეთ როგორც პოზიტივს, ისე – ნეგატივს. ნუ იაქტიურებთ. **ქალწული** – პასიური დღეა. ნუ გარისკავთ, განსაკუთრებით – ფინანსური კუთხით. **სასწორი** – ნებისმიერი საქმიანი კონტაქტი იღბლიანია. გელით რომანტიკული შეხვედრა. **ღრიანკალი** – გარშემომყოფებთან ურთიერთობაში უფრო დამთმობი და მოსიყვარულე უნდა იყოთ. თქვენს მდგომარეობას ბოროტად ნუ გამოიყენებთ. **მშვილდოსანი** – მშვენიერი დღეა საყიდლებზე წასასვლელად. ზუსტად იმ ნივთს შეიძენთ, რომელიც ძალიან გამოგადგებათ. **თხის რქა** – ფულს იოლად ნუ დახარჯავთ. მხოლოდ აუცილებელი ნივთი შეიძინეთ. მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მისაღებად არაკეთილისმყოფელი პერიოდია. **მერწყული** – ხელმძღვანელობა თქვენი მუშაობით კმაყოფილია. ნუ მოდუნდებით. ქებამ არ გაწყინოთ. **თევზები** – გადაღლილი ხართ. დაისვენეთ და ძალები აღიდგინეთ. ოჯახის წევრებთან კომპრომისზე წასვლა მოგიწევთ.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

# კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. ოპიუმის ძველი სახელწოდება; 2. ფულის ერთეული ვიეტნამში; 3. თვალის დაავადება, ახლომხედველობა; 4. სატუსაღო ძველ თბილისში; 6. სამხედრო გემების დიდი შენაერთი; 9. ციტრუსების კანის გარეთა შეფერილი გარსი; 11. უმაღლესი კატეგორიის დიპლომატი; 15. ორგანიზმის შეუვალობა შხამის, ვირუსის წინააღმდეგ; 16. გურულების, მესხების, აჭარლების მოკლე ჩოხა; 17. აშშ-ის ქალაქი მექსიკის ყურეში, სადაც განთავსებულია „ნასას" ცენტრი; 19. სახელმწიფო აზიაში; 21. უნაღდო ანგარიშსწორების ერთ-ერთი ფორმა საგარეო ვაჭრობაში; 22. ნაბეჭდი ტექსტის საზომი ერთეული.

**თარაზულად:** 1. ფულის ერთეული ბრაზილიაში; 7. სამხედრო ტერიტორიულ ადმინისტრაციული ერთეული ძველად საქართველოში; 8. განუხორციელებელი ოცნება, ფანტაზია; 10. აზოვის ზღვის ძველი სახელწოდება; 12. კახეთში გავრცელებული თეთრყურძნოვანი ვაზის ჯიში; 13. ნიგერიის დედაქალაქი; 14. ერთი დანიშნულების მქონე საგნების სრული კომპლექტი; 18. ნორვეგიელი კომპოზიტორი; 20. ცნობილი თურქი ფეხბურთის მსაჯი; 23. მდინარე რიონის ძველბერძნული სახელწოდება; 24. ისტორიული ციხე-სიმაგრე ზუგდიდის მახლობლად; 25. ცეცხლსასროლი იარაღის მწარმოებელი იტალიური ფირმა; 26. ლუდის დანალექი, გამონახარში; 27. ატომგულის დადებითად დამუხტული ელემენტარული ნაწილაკი.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*

